67 6-
საქართ ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
26 იანვარი
1940 წ.
№ 20 (5721)
ფასი 10 კაპ

დღეს გაზეთში:

ფართოდ გავშალოთ შეჯიბრება სტალინის სახელობის პრემიებისა და სტიპენდიების მოსაპოვებლად! (მოწინავე)
ქვირფასი, საყვარელი სამშობლოს ნაპირებისაკენ (1-ლი გვერდი)
ოპერატიული ცნობა ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა (1-ლი გვ.)
სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა (1-ლი გვერდი)
ლვოვის მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგები (1-ლი გვ.)
საკურორტო საბჭოს სესია (1-ლი გვ.)
გმირული დრეიფის ადამიანები (მე-2 გვ.)
თეთრფინელებთან ბრძოლების გმირები (მე-2 გვ.)
გ. კ. ორლოვი — გაფრენები „სედოვისაკენ" (მე-2 გვ.)
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვ.)
ა. გ. წულუკიძის სახლი-მუზეუმი ქუთაისში (მე-3 გვ.).
უცხოეთში:
ამერიკის მემორანდუმი ინგლისის მთავრობას (მე-4 გვ.).
ინგლისელებმა იაპონიის გემი გაჩხრიკეს (მე-4 გვ.).

ფართოდ გავშალოთ შეჯიბრება სტალინის სახელობის პრემიებისა და სტიპენდიების მოსაპოვებლად!

თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით დიდი სტალინის დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავად დაწესებულ იქნა სტალინის სახელობის პრემიები და სტიპენდიები, რომელთა საერთო ჯამი 37 მილიონ მანეთს აღემატება.

ეს დადგენილება შესანიშნავად გამოხატავს მაღალ სტალინურ მზრუნველობასა და პატივისცემას მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი, რაც ასე ფართოდ არის დანერგილი გამარჯვებული სოციალიზმის ძლევამოსილ ქვეყანაში, სადაც ფართო ასპარეზია მოწინავე მეცნიერებისა და ხელოვნების, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის გაფურჩქვნა-აყვავებისათვის.

ეს დადგენილება დიდად შეუწყობს ხელს საბჭოთა მეცნიერებისა და ხელოვნების შემდგომ აყვავებას, გამომგონებლობისა და სამხედრო ცოდნის დარგში მიღწეულ უდიდეს წარმატებათა შემდგომ გაღრმავებას, უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.

საბჭოთა მთავრობის დადგენილებამ სტალინის სახელობის პრემიებისა და სტიპენდიების დაწესების შესახებ ახალი ძალა შემატა სამეცნიერო კვლევა-ძიების, გამომგონებლობის დარგში მომუშავეებს, ყველა იმათ, ვინც ემზადება სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებლად დისერტაციების დაცვისათვის, ჩვენს სტუდენტობას, საბჭოთა ხელოვნების და სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის მუშაკებს.

მთავრობის ასეთმა განსაკუთრებულმა მზრუნველობამ და ყურადღებამ აღაფრთოვანა ყველა, ვისაც გულწრფელად უყვარს სამშობლო, შემოქმედებითი ენტუზიაზმის ახალი ტალღა გამოიწვია სოციალისტური ქვეყნის პატრიოტებში. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო კვლევითს ინსტიტუტებში, საბჭოთა ხელოვნების მრავალრიცხოვან დაწესებულებებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პირველობისათვის, სტალინის სტიპენდიატის საპატიო სახელწოდების მოპოვების უფლებისათვის.

მთავრობის ამ დადგენილებას ფართოდ გამოეხმაურნენ ორდენოსანი საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საბჭოთა ხელოვნების დაწესებულებანი. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში თავიდანვე ფართოდ გაშალეს შეჯიბრება სტალინის სახელობის სტიპენდიებისა და პრემიების მიღების უფლების მოპოვებისათვის. ამ მიზნით 700-ზე მეტი ხელშეკრულება დაიდო, უახლოეს ხანში 30 ასპირანტი წარადგენს სადისერტაციო ნაშრომებს მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, 10 მეცნიერ მუშაკი დაიცავს დისერტაციას მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. მეცნიერებათა დოქტორმა პროფ. მ. გოგიბერიძემ ვალდებულება იკისრა, რომ წელს გამოსცემს „ფილოსოფიის ისტორიის" პირველ ტომს და მონოგრაფიებს ფილოსოფიის საკითხებზე. აქტუალურ საკითხებზე სადისერტაციო შრომებს ამზადებენ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკები, სწავლის ფრიადოსნად გახდომის შესახებ კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ სტუდენტები, ამჟამად უკვე დამთავრებულ სესიებზე გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების უმნიშვნელოვანესი მუხლი იყო ბრძოლა ფრიადოსნობისათვის.

სტალინის სახელობის პრემიებისა და სტიპენდიების მიღების საპატიო უფლებისათვის ნაყოფიერად იბრძვის ინდუსტრიის კადრების სამჭედლოს—კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტთა და მეცნიერ-მუშაკთა ოთხიათასიანი კოლექტივი. ინსტიტუტის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგნენ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შეჯიბრებას, რომელიც ფართოდ გაიშალა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გასული წლის 20 დეკემბრის დადგენილების გაცნობასთან დაკავშირებით.

ინსტიტუტის კათედრებმა ვალდებულება იკისრეს გააჩაღონ მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებში, მარგანეცისა და ქვანახშირის მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა და ახალ გაუმჯობესებათა დანერგვისათვის. ინსტიტუტის კოლექტივი ენერგიულად ემზადება მეორე სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციისათვის. ინსტიტუტის პროფესორმა გ. მუხაძემ იკისრა მიმდინარე წელს გამოაქვეყნოს საყურადღებო სამეცნიერო ნაშრომი და დისერტაციის დაცვით მოიპოვოს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. მსგავსი ვალდებულებები იკისრეს ამ ინსტიტუტის სხვა მეცნიერ მუშაკებმაც.

სტალინის სახელობის პრემიებისა და სტიპენდიების მიღების საპატიო უფლების მოპოვებისათვის ფართოდ არის გაშლილი მუშაობა ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, თბილისის პუშკინის სახელობის ინსტიტუტში, თბილისის ლენინის სახელობის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში, ქუთაისისა და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში და სხვ.

სტალინის სახელობის პრემიებისა და სტიპენდიების დაწესებამ მზიური საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერ-მუშაკები და სტუდენტთა ფართო მასები დარაზმა იმისათვის, რომ კიდევ უფრო გამდიდრდეს და აყვავდეს საბჭოთა მოწინავე მეცნიერება, კიდევ უფრო დაჩქარდეს ჩვენი წარმატება, კიდევ უფრო გაძლიერდეს ჩვენი საყვარელი სამშობლო, წარმატებით შესრულდეს მესამე სტალინური ხუთწლიანი გეგმა, გამრავლდნენ მოწინავე მეცნიერებისა და სწავლის ფრიადოსნები—წარჩინებული ადამიანები, ჩვენს ქვეყანას შემატოს მაღალხარისხოვანი მეცნიერული ნაშრომები, ახალი თვალსაჩინო გამოგონებები.

ორდენოსანი საქართველოს მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებს, გამომგონებლებსა და სტუდენტებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ უდიდესი პატივია მოიპოვო სტალინის სახელობის პრემიის, სტალინის სახელობის სტიპენდიის მიღების უფლება. ეუფლებიან რა მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას, რომლის ცოდნა აუცილებელია მეცნიერების ყველა დარგის მუშაკისათვის, სტალინის სახელობის პრემიებისა და სტიპენდიების მიღების უფლებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან მათემატიკოსები და ეკონომისტები, ფიზიკოსები და გეოლოგები, მედიცინის მუშაკები და ქიმიკოსები, მხატვრები და საბჭოთა ხელოვნების მუშაკები. ეჭვი არ უნდა შევიტანოთ იმაში, რომ ისინი მოფიქრებული, გეგმაშეწონილი, მუყაითი შრომით, დიდი სტალინის გენიით აღფრთოვანებულნი, შესძლებენ არა-ერთი და ორი ძვირფასი საჩუქარი მიუძღვნან დედა-სამშობლოს.

კიდევ უფრო გავაფართოოთ სოციალისტური შეჯიბრება სტალინის სახელობის პრემიებისა და სტიპენდიების მიღების საამაყო უფლების მოპოვებისათვის!

ლენინის დღეებში

ვ. ი. ლენინის მუზეუმის ლენინგრადის ფილიალში

ლენინგრადი, 23 იანვარი (საქდესი). ვ. ი. ლენინის მუზეუმის ლენინგრადის ფილიალის შესავალთან აგებულია ფიცარნაგი. ფიცარნაგზე დადგმულია ისტორიული ჯავშნოსანი; ამ ჯავშნოსნის კოშკურიდან ლენინმა სიტყვა წარმოსთქვა ათასობით მუშების წინაშე, რომლებიც მას შეხვდნენ ემიგრაციიდან დაბრუნების დღეს—1917 წლის 16 აპრილს.

გუშინ ამ ისტორიულ ჯავშნოსანთან გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვეს ფინეთის ვაგზალზე ილიჩის შეხვედრის მონაწილემ ამხ. ფ. ა. ბიკოვმა, 1917 წლის ჯავშანრაზმის ჯარისკაცთა კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ ამხ. დ. ი. ჩერკაშინმა და სხვებმა.

○

22 იანვარს ვ. ი. ლენინის მუზეუმის ლენინგრადის ფილიალი დაათვალიერა 11.395 ექსკურსანტმა და მნახველმა. 3 ათასზე მეტი კაცი იყო ლენინის ექვს ბინაზე—მუზეუმებსა და სმოლნის ლენინის ოთახებში.

ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი გრაფიკის გამოფენა

ლენინგრადი, 21 იანვარი (საქდესი). რუსული მუზეუმის საბჭოთა ხელოვნების განყოფილებაში დღეს გაიხსნა გამოფენა მოსკოველ და ლენინგრადელ მხატვართა გრაფიკული ნამუშევრებისა, რომლებიც მიძღვნილია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი.

დედაქალაქის მუზეუმებში

ლენინის დღეებში ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის დარბაზებში დიდი გამოცოცხლება იყო. ათასობით მოსკოველი და ექსკურსანტი დიდი ინტერესით ეცნობოდნენ აქ მრავალ ექსპონატს, რომლებიც გვიხატავენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის და მისი საქმის დიდი განმგრძობის—ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

22 და 23 იანვარს 5 ათასზე მეტმა მშრომელმა ნახა რევოლუციის მუზეუმი.

გუშინ და გუშინწინ მოსკოვის სამხედრო ოლქის ნაწილების მრავალმა მებრძოლმა, მეთაურმა და პოლიტმუშაკმა ნახა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ცენტრალური მუზეუმი, სადაც გაეცნენ მასალას თემაზე: „ლენინი, სტალინი და წითელი არმია". (საქდესი).

ქვირფასი, საყვარელი სამშობლოს ნაპირებისაკენ

ყინულმჭრელი „ი. სტალინი", 24 იანვარი (რადიო, საქდესის სპეცკორი). გაშლილ ზღვაში ბუნკერობა მეტად რთული საქმე აღმოჩნდა. როგორც კი ყინულმჭრელები „ი. სტალინი" და „გ. სედოვი" ყინულის ნაპირთან გემ „სტალინგრადს" შეხვდნენ, დაიწყო ქვანახშირის გადატვირთვა ტრიუმებში, მაგრამ იგი ცოტახანს გრძელდებოდა. სამი გემი ერთი-მეორის გვერდით იდგნენ, „სტალინგრადი" შუაში იმყოფებოდა, „ი. სტალინი" და „გ. სედოვი" აქეთ-იქით ედგნენ. მძლავრი ამწეები აცალიერებდნენ ქვანახშირის მცურავი ბაზის წიაღს. დაძაბულმა მუშაობამ რამდენიმე საათს გასტანა. ამასობაში გაძლიერდა ქარი, რომელიც თავდაპირველად სუსტად ჰქროდა. ატყდა ფართო ფრთონა, ფლაგმანი რომელიც ტალღაზე მერყეობს, ისევე როგორც ყველა ყინულმჭრელი შეიძრა და თავის მძლავრი კორპუსით „სტალინგრადის" გემბანს ეხეთქებოდა. გემი ტორტმანობდა.

ამ რყევის განგრძობას შეეძლო შეეზნიქა „სტალინგრადის" კორპუსი და უფრო სერიოზულად დაეზიანებინა გემი. პაპანინმა გადასწყვიტა შესულიყო ყინულებში „სტალინგრადითურთ" და იქ, უფრო მშვიდ პირობებში, განეგრძო ბუნკერობა. ამასობაში „სედოვმა" უკვე მიიღო ქვანახშირის ერთგვარი მარაგი და ნაპირს მიადგა. ფლაგმანი გზას უკვლევდა „სტალინგრადს", ყინულებში შევიდა, ისარგებლა ყინულგასაყარით და მიაღწია იმ ადგილს, სადაც ზღვის ფრთონა არ იგრძნობოდა.

გამოცხადდა ავრალი. ექსპედიციის ყველა მონაწილე შეუდგა ბუნკერობას. ძლივს მოვასწარით რამდენიმე ათეული ტონის გადატვირთვა, რომ ზადიგინისაგან ცნობა მოგვივიდა: „სედოვი" ყინულმა გაშლილ ზღვაში გაიტაცაო. ყოველგვარი მოულოდნელი გართულების თავიდან ასაცილებლად, პაპანინმა გვიბრძანა დაუყოვნებლივ შეგვეწყვიტა ბუნკერობა და „სედოვისაკენ" წავსულიყავით. მაგრამ რარიგ ცვალებადია ყინულის პირობები არქტიკაში! გზა სამხრეთისაკენ მთლიანი ყინულით შეკრული აღმოჩნდა. იქ, სადაც რამდენიმე საათის წინ ყინულგასაყარები იყო გაჭიმული, ახლა უსაზღვრო, მთლად შეკრული, მძიმე ყინულები გაჩენილიყო. ფლაგმანიც კი დიდი გაჭირვებით იკაფავდა გზას ყინულის ამ ათბალიან მასივში. „სტალინგრადი" ყოველ წამს უკან რჩებოდა. ყინულმჭრელს უკან დაბრუნება უხდებოდა, რომ დაემსხვრია ყინულის ბორკილები გემის ირგვლივ, ხოლო შემდეგ ისევ წინ წაწეულიყო. 4-5 მილიანმა მანძილმა თითქმის 20 საათი წაგვართვა.

პაპანინი კაპიტანს მოეთათბირა და მიიღო გადაწყვეტილება—მთელი ესკადრით წასულიყო ბარენცბურგს და იქ, მშვიდ პირობებში, მომარაგებულიყო ქვანახშირით ისე, რომ გემების მთლიანობას საფრთხე არ შექმნოდა. ამხ. ბუინიცკიმ ხანმოკლე შეჩერებით ისარგებლა და მოასწრო გამორკვევა, რომ ჩვენ 78 პარალელზე ცოტათი ჩრდილოეთით ვიმყოფებოდით. მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო აღმოჩნდა ჩვენი ადგილის გრძედი. ჩვენ ვიმყოფებოდით მიწის მეორენახევარ სფეროში, გრინვიჩის მერიდიანის იქითა მხარეზე.

საბჭოთა არქტიკული გემების ესკადრა სამხრეთისაკენ გაემართა. „სედოვი" ბუქსირით მიჰყვებოდა ფლაგმანს. ზღვა გასაოცრად წყნარი და სტუმართმოყვარე იყო. აქა-იქ გვხვდებოდა ახალი, ბლინისებური ყინული, რომელსაც გემები აბლაბუდასავით მიარღვევდნენ. ყინულმჭრელი „ი. სტალინი" სრული სიჩქარით მიდიოდა. „სედოვი" მას თითქმის არ აგვიანებდა. სახელოვანი გემის მანქანა ორი წლის უმოქმედობის შემდეგ საუცხოოდ მუშაობდა. საერთოდ, გაშლილ ზღვაში სვლამ დაგვანახვა, რომ სედოველებს, დრეიფის უმძიმესი პირობების მიუხედავად, საუცხოვოდ დაუცავთ გემის მექანიზმები და მოწყობილობა. რეისის დროს შემოწმებულ იქნა გემის სასაჭე მეურნეობაც. შემოწმებამ დადებითი შედეგები გამოიღო. გამტყდარი საჭის სარემონტოდ „სედოვის" ეკიპაჟის მიერ გაწეულ თავდადებულ მუშაობას ამაოდ არ ჩაუვლია.

თვითონ სედოველები ძალიან მალე აჰყვნენ აქტიური ნაოსნობის რიტმს. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ისინი კვლავ გადავიდნენ საზღვაო ვახტებზე. „სედოვის" ეკიპაჟი, საფლაგმანო ყინულმჭრელის მეზღვაურებით გაძლიერებული, ენერგიულად მუშაობდა გემბანზე, საცეცხლფარეშოში, სამანქანო განყოფილებაში. ყველანი უდიდესი ენტუზიაზმით მუშაობდნენ, ისინი მონატრებული იყვნენ გაშლილ ზღვას, ლაღ ფართო ტალღას. ბოლოს, გემები აისფიორდში შევიდნენ. შუადღის ბინდში ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოსჩანდა მუდმივი ყინულებით დაფარული მთიანი ნაპირები. ფრთხილად, დიდის ოსტატობით მიჰყავდა ყინულმჭრელ „ი. სტალინის" კაპიტანს ამხ. ბელოუსოვს გაწყველებული ქარავანი ფიორდის დაკლაკნილი, საშიში, ყინულით დაფარული ფარვატერით. მალე წინ გამოჩნდა გაჩირაღდნებული ბარენცბურგი. იმიერპოლარული ქალაქის მოსახლეობა უდიდესი სიხარულით, აღფრთოვანებით შეხვდა სახელოვან სედოველებს და ექსპედიციის მონაწილეებს. გემები ნავსაყუდელს მიადგნენ.

ამჟამად გამალებული ტემპით სწარმოებს დაბუნკერება, ხოლო შემდეგ გემები ისევ გასწევენ სამხრეთისაკენ, საყვარელი სამშობლოს ნაპირებისაკენ.

საჰაერო ხაზი მოსკოვი-ბერლინი

მოსკოვ-ბერლინის ავიახაზზე დაიწყო რეგულარული საჰაერო მიმოსვლა. 24 იანვარს 9 საათსა და 47 წუთზე მოსკოვიდან ბერლინს გაფრინდა გერმანიის თვითმფრინავი „დს-3". ამავე დღეს მოსკოვს მოფრინდა ორი საბჭოთა თვითმფრინავი. (საქდესი).

ერთი მილიარდი მანეთი მრავალშვილიან დედებს

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის არასრული ცნობებით, 1939 წელს მრავალშვილიან დედებს 1.103.877.000 მანეთი დახმარება მიეცა. 1938 წელს მრავალშვილიანმა დედებმა 922.246.300 მანეთი დახმარება მიიღეს.

საქართველოს მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა

ხარკოვი, 24 იანვარი (საქდესი). უკრაინის სურათების გალერიაში გაიხსნა საქართველოს საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა, რაც უკრაინაში პირველად მოეწყო. რამდენიმე დარბაზში გამოფენილია 75 ქართველი მხატვრის, მოქანდაკისა და გრაფიკოსის 170 ნამუშევარი.

ყურადღებას იპყრობენ სახალხო მოქანდაკის — ორდენოსანი ი. ი. ნიკოლაძის ნამუშევრები — ლენინის ბარელიეფი და ბერიას ბარელიეფი, ორდენოსანი მხატვრის მ. ი. თოიძის სურათები — „თბილისი" და „ქართველი ქალის ცეკვა". ოსტატურად არის შესრულებული მხატვარ ჯაფარიძის მიერ ამხანაგ სტალინის პორტრეტი.

გამოფენა ხარკოვში ორ თვეს გასტანს. თებერვალში აქ ჩამოვლენ ქართველი და უკრაინელი მხატვრები, რათა გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი მუშაობის გამოცდილება. აქვე დასდებენ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას ორი მოძმე რესპუბლიკის მხატვრები.

მიმდინარე წლის მარტში თბილისში გაიხსნება უკრაინელ მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა.

გამოფენა არქტიკის მუზეუმში

ლენინგრადი, 23 იანვარი (საქდესი). გუშინ არქტიკის მუზეუმის ცენტრალურ დარბაზში გაიხსნა ყინულმჭრელ „სედოვის" დრეიფისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია მასალა, რომელიც გვიხატავს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას სედოველებისათვის; ამხანაგი სტალინისა და ამხანაგი მოლოტოვის მისალმებანი „სედოვის" ეკიპაჟისადმი დრეიფის პირველი და მეორე წლისთავის დღეებში, მიხეილ ივანეს-ძე კალინინის მიერ წარსული წლის დამლევს რადიოთი წარმოთქმული სიტყვის ტექსტი და სხვ.

გამოფენა გვიხატავს სედოველთა მეცნიერული მუშაობის წინასწარ შედეგებს. სქემები, დიაგრამები და რუკები წარმოდგენას იძლევიან იმ სამეცნიერო დაკვირვების შესახებ, რომლებიც ყინულმჭრელის დრეიფის დროს სწარმოებდა.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-ამერიკის ურთიერთობა

ნიუ-იორკი, 25 იანვარი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით ფოსტის სამინისტროს წარმომადგენელმა ლამიელმა, რომელიც გამოვიდა წარმომადგენელთა პალატაში, განაცხადა, რომ ინგლისელების მიერ ამერიკის ფოსტის დაკავება აფერხებს გერმანიაში ფოსტის ჩატანას.

○

ნიუ-იორკი, 25 იანვარი (საქდესი). საგაზეთო ტრესტის სკრიპს ჰოვარდის ვაშინგტონელი კორესპონდენტი ლიუნუელ დენი სწერს, რომ კონფლიქტი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის მწვავდება. ამერიკელი მოქალაქენი, სწერს დენი, უფრო და უფრო ხშირად აცხადებენ პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისი ერევა ამერიკის ფოსტის ტრანსპორტირებასა და აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ნაოსნობასა და ექსპორტში. მთავრობას არ შეუძლია უგულებელჰყოს ეს პროტესტები, განსაკუთრებით პრეზიდენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით. დენი შემდეგ გაფრთხილებას იძლევა, რომ თუ ინგლისელებმა განაგრძეს ამერიკის საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფა, ამას შეუძლია ჩაშალოს ამერიკის მთავრობის პოლიტიკა, მიმართული იმისაკენ, რომ დახმარება აღმოუჩინონ ინგლისსა და საფრანგეთს.

მთავრობას, სწერს შემდეგ დენი, იმედი გაუცრუა ინგლისის მიერ დაკავებულმა პოზიციამ და იგი ფიქრობს, რომ ამერიკის ნოტის უარყოფა წარმოადგენს გასაოცარ უმადურობას, განსაკუთრებით თუ მხედველობაში იქნება მიღებული მთავრობის დამსახურება ნეიტრალიტეტის კანონის გადასინჯვის საქმეში ინგლისისა და საფრანგეთისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით. რაც უნდა გაკვირვებული დარჩნენ ინგლისის მომხრე წრეები ვაშინგტონში, სწერს დენი, მთავრობა, როგორც ჩანს, იხილავს ინგლისის წინააღმდეგ საპასუხო რეპრესიულ ღონისძიებათა გამოყენების საკითხს. იზოლაციონისტების ბლოკი სენატში უკვე აყენებს მოთხოვნას იმის შესახებ, რომ ინგლისის შეიარაღებულ სავაჭრო გემებს აეკრძალოთ ამერიკის ნავსადგურებში შესვლა.

○

ნიუ-იორკი, 25 იანვარი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით მთელი რიგი ორატორები პროტესტით გამოვიდნენ ინგლისელების მიერ ამერიკის საფოსტო კორესპონდენციის დაკავებისა და ამერიკის ნაოსნობაში ჩარევის წინააღმდეგ. ფერმერთა და მუშათა პარტიის წევრი სენატორი ლენდინი (მინესოტის შტატისაგან) მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას სამხედრო ვალების ანაზღაურების ანგარიშში მოსთხოვოს ინგლისს ბერმუდის კუნძულები და ინგლისის სხვა სამფლობელოები.

ნორვეგიელი უმუშევრები მოითხოვენ, რომ ნორვეგიამ უსასტიკესი ნეიტრალიტეტი დაიცვას

ოსლო, 25 იანვარი (საქდესი). გაზეთმა „არბაიდერბლადეტმა" გამოაქვეყნა ოსლოს და აკერის უმუშევართა კავშირის მიერ მიღებული რეზოლუცია. უმუშევარნი სასტიკ პროტესტს აცხადებენ იმის ცდის წინააღმდეგ, რომ ნორვეგია ომში ჩაითრიონ. „რეაქციული წრეები,— ნათქვამია რეზოლუციაში, — გაჰყვირიან თავდაცვაზე,—„ჩვენს ინტერესებზე", „ჩვენს კეთილდღეობაზე", „ჩვენს თავისუფლებაზე" და სხვ. მაგრამ თვალსაჩინო განსხვავებაა ხალხის თავისუფლებასა და იმ კაპიტალის თავისუფლებას შორის, რომელიც ასი ათასობით კრონას სწირავს მანერჰაიმელთა ბანდების დასახმარებლად". „მუშები,—ნათქვამია დასასრულ,—ახლა ენერგიულად უნდა გამოვიდნენ ომის გამჩაღებლებისა და მათი აგენტების წინააღმდეგ, ვიდრე ოდესმე გამოსულან, და სასტიკად ადევნონ თვალყური იმას, რომ ნორვეგიის ნეიტრალიტეტი დაცულ იქნას".

მოხმარების შემცირება საფრანგეთში

სოფია, 25 იანვარი (საქდესი). გაზეთი „ზორა" სწერს, რომ ომი საფრანგეთში უფროდაუფრო მეტ მსხვერპლსა და შეზღუდვას იწვევს. საფრანგეთის სავაჭრო ბალანსის გასაუმჯობესებლად და ვალუტის შესანარჩუნებლად, რომელიც სამხედრო მასალის შესაძენად არის საჭირო, საფრანგეთის ხელისუფლება ცდილობს შეზღუდოს საზღვარგარეთიდან ფართო მოხმარების პროდუქტების, მაგალითად, ყავის, თამბაქოს და სხვა შეზიდვა.

„ხელისუფლებამ, — სწერს გაზეთი, — აკრძალა კვირაში 3 დღეს ხორცის მოხმარება და ნებას არ იძლევა აგრეთვე, რომ დანარჩენ დღეებში კლიენტს ერთზე მეტი ხორციანი კერძი მიეცეს; ამასთანავე ერთი პორცია 150 გრამს არ უნდა აღემატებოდეს. ომმა მთელი რიგი სხვა ღონისძიებანიც გამოიწვია. საფრანგეთში გაძლიერებით აგროვებენ ძველ გაზეთებს, ქაღალდებს, რკინის ჯართს და სხვ."

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა 20 იანვარს ორდენები და მედლები გადასცა ტაჯიკეთის სსრ სასოფლო მეურნეობის მოწინავე მუშაკთა ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან შესანიშნავი წარმატებისათვის სოფლის მეურნეობაში და განსაკუთრებით მებამბეობაში გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

დაჯილდოებულთა შორის არიან: რეგარსკის რაიონის გაურატის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ქალი ამხ. არტიკბუ ხოლმატოვა, რკინიგზის რაიონის ლახუტის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ამხ. შარიფ ბეკულოვი, პენჯიკენტის მტს-ის ტრაქტორისტი ამხ. კარშიბოი ჯურაევი, რაშტკალის რაიონის კოლმეურნეობა „ინტერნაციონალის" მეცხვარეობის ფერმის მწყემსი ამხ. ტოლიბშო დეხკონოვი და სხვა ამხანაგები.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა ტაჯიკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ორდენოსანმა ამხ. ჰაჯი ურუნოვმა.

ჯილდოები გადაეცათ აგრეთვე კავშირგაბმულობის ხელმძღვანელს დიდი ფერგანის არხის მშენებლობაზე ამხ. ა. ე. კალიუჟნისა და მთელ რიგ სხვა მუშაკებს.

მ. ი. კალინინმა ამხანაგებს მიულოცა ჯილდოების მიღება და უსურვა შემდგომი წარმატება მათს მუშაობაში. (საქდესი).

ლვოვის მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგები

ლვოვი, 24 იანვარი (საქდესი). დღეს ლვოვში გაიმართა მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგები, რომლებიც მიეძღვნა უკრაინის დასავლეთი ოლქებიდან სსრ კავშირისა და უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა საარჩევნო კამპანიის დაწყებას.

გაზის ქარხანაში დღეს მუშაობის შემდეგ წითელ კუთხეში თავი მოიყარა 400-მდე მუშამ და სპეციალისტმა. მიტინგზე შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა მუშა ამხ. ვეჩეროკი.

— უსაზღვროდ მოხარული ვარ, — სთქვა მან, — რომ ამჟამად განთავისუფლებულ მიწაზე ყველა მშრომელთან ერთად მივიღებ მონაწილეობას ყველაზე დემოკრატიულ არჩევნებში.

მოიგონეთ, ამხანაგებო, როგორ ვირჩევდით სეიმსა და სენატს. იქ გადიოდნენ ბურჟუაზიის წარმომადგენელნი, მშრომელთა უფლებები ყოველნაირად შეკვეცილი იყო. ახლა ჩვენ ხალხის ღირსეულ წარმომადგენლებს გავგზავნით ჩვენი მშობლიური საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში.

მიღებული რეზოლუციით მიტინგის მონაწილეებმა ვალდებულება იკისრეს ღრმად შეისწავლონ სსრ კავშირის კონსტიტუცია, უკრაინის სსრ კონსტიტუცია და საარჩევნო კანონი, 10 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, არჩევნების დღისათვის—24 მარტისათვის—ვადამდე შეასრულონ 1940 წლის I კვარტალის გეგმა. ქარხნის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ქალაქის ელექტროსადგურის მუშები.

დიდის აღფრთოვანებით ჩაიარა მიტინგმა ტყავეულობის 1-ელ სახელმწიფო ქარხანაში.

— ჩვენ, ძველი ადამიანები, რომლებმაც საკუთარ ზურგზე გადავიტანეთ კაპიტალისტური ექსპლოატაციის მთელი სიმძიმე, — განაცხადა თავის გამოსვლაში მუშამ, ამხ. ვორტეიჩუკმა, — სიხარულით ვხედავთ, თუ როგორ უმჯობესდება დღითი-დღე მშრომელთა ცხოვრება. წინათ ჩემი ბავშვები არა სწავლობდნენ, არ შემეძლო სწავლის ფულის გადახდა. ახლა ისინი სხვა ეროვნებათა ბავშვებთან ერთად უფასოდ სწავლობენ. ამხანაგებო, ეს უნდა შევიგნოთ! ხალხის მტრები შეეცდებიან საქმე გაგვიფუჭონ. ამიტომ კიდევ უფრო ფხიზლად უნდა ვიყოთ! კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ ჩვენი საბჭოთა მთავრობის გარშემო, ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინის გარშემო!

მიტინგის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმებანი ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინისა** და ამხანაგ **ხრუშჩოვისადმი.**

საკურორტო საბჭოს სესია

24 იანვარს მოსკოვში გაიხსნა ცენტრალური სამეცნიერო - საკურორტო საბჭოს VII სესია. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფ. ვ. ა. ალექსანდროვმა. 1940 წელს კურორტების მუშაობის შესახებ საინტერესო ცნობები მოიყვანა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კურორტებისა და სანატორიუმების სამმართველოს სამედიცინო განყოფილების უფროსმა დ-რმა შუგამმა.

ჩვენი ქვეყნის კურორტებზე შარშან მკურნალობდა და ისვენებდა მილიონამდე კაცი, სამბულატორიო ავადმყოფთა რაოდენობამ მარტო საკავშირო კურორტებზე 160 ათასამდე მიაღწია, რაც 54 ათასით მეტია, ვიდრე 1938 წელს.

მიმდინარე წელს მიღებულ იქნება მთელი რიგი ღონისძიებანი ავადმყოფთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის. მარტო სსრ კავშირის ჯანსახკომის კურორტებზე კაპიტალური სამუშაოებისათვის ნავარაუდევია 6.800 ათასი მანეთის დახარჯვა. 20 მილიონამდე მანეთი დაიხარჯება სანატორიუმების კეთილმოწყობისათვის, პლიაჟების მოსაწყობად, გზების შესაკეთებლად, დაახლოებით 10 მილიონი მანეთი — ჰიდროგეოლოგიური სამუშაოებისათვის და სხვ. მწყობრში ჩადგება ახალი შენობები, კერძოდ, საბავშვო ტუბერკულოზური სანატორიუმი ევპატორიაში და კორპუსი სოჭის № 1 სანატორიუმში. სანატორიუმების უმრავლესობა მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს.

რსფსრ ჯანსახკომის მთავარი საკურორტო სამმართველოს წარმომადგენელმა დ-რმა მიაკოტნიხმა აღნიშნა, რომ მეორე და მესამე ხუთწლედების მანძილზე რესპუბლიკის საკურორტო ქსელი 30 ათას საწოლამდე გადიდდა. წელს მრავალი კურორტი გაფართოებულ და კაპიტალურად შეკეთებულ იქნება, საგრძნობლად ლიკვიდირებულ იქნება ექიმების ნაკლებობა. კერძოდ, შორეული აღმოსავლეთის, ალტაის მხარის, ირკუტსკისა და ჩელიაბინსკის ოლქის კურორტებისათვის პირველად გამოყოფილია 50 ახალგაზრდა სპეციალისტი. ბევრ კურორტზე ეწყობა ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

სესიის მონაწილეებში დიდი ინტერესი გამოიწვია პროფ. ა. ი. ნესტეროვის მოხსენებამ „კურორტებზე მკურნალობის ვადების შესახებ". ამჟამად მეტწილ კურორტებზე მკურნალობის ვადა დაავადების სხვადასხვაგვარი ფორმების დროს განსაზღვრულია ერთი თვით. ამასთან ბევრ შემთხვევაში ერთდაიმავე სამკურნალო მეთოდებს მიმართავდნენ, რაც უარყოფითს შედეგს იძლეოდა. საბჭოთა და უცხოეთის კურორტებზე დაგროვებული სამკურნალო გამოცდილება საშუალებას გვაძლევს ახლა დავსვათ საკითხი საკურორტო მკურნალობის ხანგრძლივობისა და მისი მეთოდების გადასინჯვის შესახებ.

მომხსენებელმა მოიყვანა კურორტებზე მკურნალობის დაახლოებით დიფერენცირებული ვადები. იმათთვის, ვინც მკურნალობს კისლოვოდსკში, არზნში და ნახშირმჟავიანი წყლების სხვა კურორტებზე — 26 დღე, სოჭი-მაცესტაში, ტალგში და სულფიდიანი წყლების სხვა კურორტებზე — 28 დღე, საკში, ოდესაში, სლავიანსკში და ტალახის სხვა კურორტებზე — 30 დღე, ამდენივე დღის მკურნალობა ესენტუკში, პიატიგორსკში, ჟელეზნოვოდსკში. ყირიმის სამხრეთ ნაპირებზე და სხვა კლიმატურ კურორტებზე ფილტვების ტუბერკულოზის აქტიური ფორმით დაავადებულთა მკურნალობის ვადა უნდა დაწესდეს 60 დღე, ფილტვების ტუბერკულოზის არააქტიური ფორმით დაავადებულთათვის — 30 დღე, ძვალ-სახსრების ტუბერკულოზით დაავადებულთათვის — 120 დღე და სხვ. ავადმყოფ ბავშვთათვის კურორტებზე ყოფნის ვადა გათვალისწინებულია 40-120 დღე. (საქდესი).

ვ. მაიაკოვსკის გარდაცვალების 10 წლისთავი

პოეტის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული ქართულ ენაზე

საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალების 10 წლისთავზე ქართულ ენაზე გამოქვეყნდება მის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული. ვ. მაიაკოვსკის თხზულებათა თარგმანზე მუშაობენ: ს. ჩიქოვანი, ი. აბაშიძე, დ. გაჩეჩილაძე, მ. პატარიძე, კ. ნადირაძე, შ. აფხაიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ი. მოსაშვილი, ვ. გორგაძე და სხვ.

კრებულში შევა ვ. მაიაკოვსკის პოემები: „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი", „ომი და ზავი", „მთელი ხმით", „შარვლიანი ღრუბელი", „150.000.000", „ამის შესახებ", „კარგია", აგრეთვე პოეტის საუკეთესო ლექსები.

ვ. მაიაკოვსკის რჩეულ ნაწარმოებთა კრებულს სახელგამი გამოსცემს. წიგნი გამოვა ი. აბაშიძის რედაქციით და იქნება 15 ნაბეჭდი ფურცლის მოცულობისა. (საქდესი).

ოპერატიული ცნობა

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

25 იანვრის განმავლობაში ფრონტზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

გმირული დრეიფის ბელადები

კაპიტანი—ბოლშევიკი

— „სედოვიდან" მხოლოდ მაშინ გადმოვალ, როცა გემი დრეიფს დაამთავრებს და საბჭოთა ნავსადგურში შევა!

ასე განაცხადა 1938 წლის აგვისტოში კონსტანტინე სერგის-ძე ბადიგინმა—მოდრეიფე გემის კაპიტანმა, როცა მას წინადადება მისცეს შეცვლილიყო. ეს ღირსეული პასუხი დამახასიათებელია კომუნისტი ბადიგინისათვის, თავისი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტისათვის.

მტკიცედ და გაბედულად ხელმძღვანელობდა იგი უთვალავ საავრალო სამუშაოს „სედოვზე", პოულობდა რა უაღრესად საშიშ მდგომარეობაში ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას. გამოჩენილმა ორგანიზატორმა, კონსტანტინე სერგის-ძე ბადიგინმა ღირსეულად დაამთავრა უმაგალითო რეისი, გაამართლა რა საბჭოთა ბოლშევიკი კაპიტნის მაღალი სახელწოდება.

კონსტანტინე სერგის-ძე ბადიგინი დაიბადა 1910 წელს პენზაში, გლეხთა ფენებიდან გამოსული აგრონომის ოჯახში.

ბავშვობის ოცნების განსახორციელებლად კონსტანტინე ბადიგინი 1928 წელს საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის საგზურით შედის ფრუნზეს სახელობის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში, მაგრამ ოჯახური პირობების გამო სწავლას სწყვეტს და მეტაკელაჟედ შედის ფაბრიკა „კრასნი ვოდნიკში".

ფაბრიკაში იგი გაეცნო შორეულ აღმოსავლეთის ფლოტის მეზღვაურებს, რომლებმაც გაიტაცეს იგი თავიანთი ნაამბობით შორეულ ზღვებში მოგზაურობის შესახებ. ახალი მეგობრების რჩევით ბადიგინი ვლადივოსტოკში გადადის. 1929 წელს იგი მეორე კლასის მატროსად ჩარიცხეს გემ „ინდიგირკაზე".

ახალგაზრდა მეზღვაური მალე შეეჩვია გემზე მუშაობას, საუკეთესოდ შეასრულა მეთაურის დავალება. იგი სერიოზულად ჰკიდებს ხელს სწავლას და დამოუკიდებლად ემზადება ვლადივოსტოკის საზღვაო ტექნიკუმის მეორე კურსზე გამოცდის ჩასაბარებლად. მტკიცედ და დაჟინებით მიდის რა დასახული მიზნისაკენ, ბადიგინი 1932 წელს ერთერთი პირველთაგანი ამთავრებს ტექნიკუმს. იმავე წელს იგი შედის საკ. კ. პ. (ბ) რიგებში.

განაგრძობს რა შტურმანის საქმის შესწავლას, ამხ. ბადიგინი მუშაობს ხე-ტყის საზიდ სხვადასხვა გემებზე და ტანკერებზე. სად არა ყოფილა იგი! მას უნახავს ინდოეთის ოკეანის ტალღებიც, ბისკაის მშფოთვარე ყურეც, ყოფილა სინგაპურში, ჰამბურგში, როტერდამში, ლონდონში...



მხურვალედ გამოეხმაურა ბადიგინი საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას ყინულმჭრელ „კრასინის" კომკავშირის გემად გადაქცევის შესახებ. აქ ბადიგინი დააწინაურეს კაპიტნის მესამე თანაშემწედ, ხოლო მალე—მეორე თანაშემწედაც. ბადიგინმა მოიხვეჭა გამოცდილი გემთწამყვანის, აქტიური კომუნისტის, შესანიშნავი ამხანაგის სახელი.

1937 წლის გაზაფხულიდან კონსტანტინე სერგის-ძე უფროს თანაშემწედ გადაჰყავთ ყინულმჭრელ „სადკოზე".

შემოდგომაზე „სადკო", „სედოვთან" და „მალიგინთან" ერთად, ყინულებში ჩაიჭედა, ხოლო გაზაფხულზე, როცა „სედოვის" ავად გამხდარი კაპიტანი თვითმფრინავით გადაიყვანეს მოდრეიფე გემიდან, კონსტანტინე სერგის-ძე „სედოვის" კაპიტნად დანიშნეს.

პარტიული ორგანიზატორი

1924 წელს, 18 წლის ჭაბუკმა დიმიტრი გრიგოლის-ძე ტროფიმოვმა დაიწყო თავისი სამსახური გემზე, როგორც ყინულმჭრელ „სედოვის" უფროსმა მექანიკოსმა და თანაშემწემ პოლიტნაწილში. მან, დეპოს მუშის შვილმა, დაამთავრა მშობლიურ ქალაქ სრეტენსკში (ჩიტის ოლქში) რკინიგზის სკოლა—შვიდწლედი და მატროსად დაიწყო მუშაობა ამურის აუზის გემზე.

1929 წელს ტროფიმოვი ბლაგოვეშჩენსკის წყლის ტრანსპორტის ტექნიკუმში შევიდა, საიდანაც მალე წყნარი ოკეანის სავაჭრო ფლოტში შევიდა. თავისი პირველი საზღვაო რეისი მან გააკეთა გემ „ვოლნათი", სადაც ცეცხლფარეშად მუშაობდა.

1931 წელს ტროფიმოვი ცეცხლფარეშად მუშაობს გემ „ტომსკიზე". იმავე წელს პარტიაში შედის. შემდეგს წელს დიმიტრი ტროფიმოვი გემ „კრასნი პარტიზანისა" და „სუჩანის" მემანქანედ მუშაობს. წყნარი ოკეანის ფლოტის გემებით მან საზღვარგარეთის ნავსადგურები მოიარა, გამოსცადა ტროპიკების პაპანაქება და არქტიკული ზღვების სიცივე. ტროფიმოვი „სუჩანზევე" დიდ მუშაობას ეწევა—მეთაურობს კომუნისტურ ორგანიზაციას.

წარმოების მოწინავე მუშაკს, კომუნისტ ტროფიმოვს ყინულმჭრელ „ლიტკეზე" ჰგზავნიან, რომლის ეკიპაჟის წინაშე დასმული იყო ამოცანა—ზღვაოსნობის ისტორიაში პირველად გაევლო ერთი ნავიგაციის განმავლობაში ჩრდილოეთის საზღვაო გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთით.

დიმიტრი ტროფიმოვი ამ ისტორიულ რეისში მონაწილეობას იღებს, როგორც ცეცხლფარეშთა მამასახლისი. იგი აქაც პარტიულ ორგანიზაციას მეთაურობს, მუშაობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების პირადს მაგალითს იძლევა. ტროფიმოვის ცეცხლფარეშთა ვახტი მოწინავეა გემზე.

„ლიტკეს" მოწინავენი დაჯილდოებულ იქნენ საბჭოთა კავშირის ორდენებით. მათ შორის იყო დიმიტრი გრიგოლის-ძე ტროფიმოვი, მან შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო.

იგი გადაჰყავთ მეოთხე მექანიკოსად ყინულმჭრელ „ერმაკზე". ტროფიმოვი მონაწილეობს პაპანინელებისაკენ მიმავალ „ერმაკის" რეისში და შესანიშნავ მაღალგანედიან რეისში, მოდრეიფე გემების ქარავნისაკენ. „ერმაკის" კოლექტივმა ტროფიმოვი ყინულმჭრელ „სედოვზე" გაგზავნა.

„სედოვზე" დიმიტრი გრიგოლის-ძემ უდიდესი მუშაობა გასწია, ბოლშევიკურად დარაზმა ყინულმჭრელის კოლექტივი სიძნელეებთან საბრძოლველად, დრეიფის წარმატებით დამთავრებისათვის საბრძოლველად.

თეთრფინელებთან ბრძოლების გმირები

ივანე ულიანოვი

მალაია ვიშერაში იცნობდნენ მხიარულ პარიკმახერს და გულთბილად გააცილეს იგი, როდესაც წითელმა არმიამ ულიანოვი თავის რიგებში გაიწვია.

აქ მან დაიწყო მუშაობა თავისი სპეციალობის მიხედვით. მაგრამ, როდესაც ფინეთის თეთრგვარდიელებმა კბილები დაუღრჭიალეს ჩვენს სამშობლოს, პარიკმახერი მივიდა თავის მეთაურთან.

— ნება მომეცით მოგმართოთ, ამხანაგო მეთაურო, — სთქვა მან, — ძალიან მინდა მზვერავად წავიდე.

— მერე პარსვა? — ჰკითხა მეთაურმა.

— პარსვა — თავის რიგად, — უპასუხა მებრძოლმა პარიკმახერმა. — მოვასწრებ ერთსაც და მეორესაც.

თავის მეგობარ ნიკოლოზ ივლევთან ერთად ულიანოვი დანიშნეს დაზვერვაში. და მალე დაიწყო მისი საბრძოლო ცხოვრება.

მიღებულ იქნა ცნობები, რომ №-ის ტბასთან, ორი გზის განშტოებასთან, ჩასაფრებულია თეთრების მნიშვნელოვანი ძალები. მოვიდა საბრძოლო ბრძანება: გათენებამდე მოხდეს დაზვერვა.

წინმავალ მზვერავად დანიშნულ იქნა ულიანოვი.

— ნება მომეცით მეც მასთან ვიყო, — მიმართა მეთაურს ნიკოლოზ ივლევმა.

ორმა მებრძოლმა მეგობარმა გასინჯა მთელი აღჭურვილობა. მათ შეამოწმეს, ხომ არაფერი ხმაურობს მოძრაობის დროს, დაამაგრეს ხელყუმბარები, ხელი რომ არ შეეშალათ ცოცვაში, რუკის მიხედვით გაეცნენ ადგილმდებარეობას და გასწიეს წინ. დანაყოფი მეთაურთან ერთად მათ მისდევდა.

უხმოდ მიდიოდნენ მზვერავები გზის გასწვრივ, ეფარებოდნენ ხეებს, ჩერდებოდნენ, რომ ყური დაეგდოთ. ჯერ კიდევ ღამე იყო. მარჯვნივ ნაცრისფრად კიაფობდა თოვლი, მარცხნივ კი შავად მოსჩანდა ტყე. უცბად ულიანოვს მოეჩვენა, რომ ივლევმა რაღაც სთქვა. ულიანოვი მიუბრუნდა მას, მაგრამ იგი სდუმდა. კვლავ გაისმა ხმა.

— დაწექი! — უბრძანა ჩურჩულით ულიანოვმა.

ხმები უფრო ახლოს გაისმა. სიტყვების გარჩევა ჯერ არ შეიძლებოდა, მაგრამ ეტყობოდა ხალხი ბევრი იყო. ცოტა ხნის შემდეგ უკვე შეიძლებოდა გარჩევა, რომ ლაპარაკობდნენ არა რუსულად. დიახ, ახლა ცხადია: „ისინი" არიან.

—მოემზადეთ სროლისათვის! — უბრძანა ულიანოვმა და დასძინა: — კოლია, ყურადღება!

დადგა დაძაბული წამები, როდესაც გესმის როგორ სცემს გული ტანისამოსის ქვეშ; უცბად, იქვე მახლობლად — მკვეთრად გაისმა ბრძანება ფინურ ენაზე, და მზვერავების წინ გამოჩნდა თეთრი ხალათი. იგი მათგან თორმეტიოდე მეტრით იყო დაშორებული!

— ცეცხლი! — სთქვა ულიანოვმა.

გავარდა ორი შაშხანა და ხალათი თოვლში წაიქცა. მაგრამ მის ნაცვლად სიბნელეში გამოჩნდნენ ახალი ხალათები და გზისაკენ გამოექანენ.

— სროლის დროს ცეცხლი გამოჩნდება, — სწრაფად ფიქრობდა ულიანოვი, — ისინი შეგვამჩნევენ, შემოგვივლიან, მაგრამ უმოქმედობაც არ შეიძლება—მათ შეუძლიათ უხმოდ მიეპარონ ჩვენებს და თავს დაესხან. მაშასადამე...

— ხელყუმბარები ბრძოლისათვის! — წაიჩურჩულა ულიანოვმა.

ხელყუმბარა არა ჩანს, საიდან მოდის. ორი აფეთქება—და პასუხად გაისმა გულშემზარავი ყვირილი.

— მეომრები! — წაიჩურჩულა ულიანოვმა.

თეთრ-ფინელები გაჰქრნენ ისევე, როგორც გაჩნდნენ. მაგრამ მაშინვე მარჯვნიდან აკაკანდა ტყვიამფრქვევი. მშრალი ხმაურია—მაშასადამე, თეთრ-ფინელები არიან.

ულიანოვის წინ ელვისებურად წამოიჭრა ორი ამოცანა:

პირველი, იგი მზვერავია და მეთაურს უნდა აცნობოს აღმოჩენილი მოწინააღმდეგის შესახებ. მაგრამ, მეორე, იგი მოწინავე მებრძოლია და უნდა მოსპოს ტყვიამფრქვევი, რომელსაც შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს ჩვენებს. მაშ როგორ მოიქცეს?

წინ თუ უკან?

— ჩვენ ხომ ორნი ვართ! უთხრა მან თავის თავს.

ივლევი სწრაფად გაცოცდა უკან, ულიანოვი კი წინ წავიდა. კიდევ ცოტა. კიდევ. აი ბუჩქები, აი ვიღაცის კვალი პირდაპირ ცხვირწინ, აი სამი ნაძვის ხე, მათ იქით კი... გარიჟრაჟის მკრთალ სინათლეში ულიანოვმა ტყვიამფრქვევთან დაინახა ადამიანები. იგი განერთხო თოვლზე ისე, რომ თავი თვითონვე ეჩვენებოდა ყოველივე სისქეს მოკლებულად, გაცოცდა კიდევ რამდენიმე მეტრზე, თან შაშხანას თოვლზე მიაცურებდა. იძრო ხელყუმბარა, ზუსტად მოზომა მანძილი, დადგა ცალ მუხლზე...

სსრ კავშირის გმირი—წითელარმიელი ამხ. ი. მ. ულიანოვი.

აფეთქება! და ტყვიამფრქვევი დადუმდა.

— სუფთად არის გაპარსული, — სთქვა თავისთვის ულიანოვმა. წამოსწია თავი, მიიხედ-მოიხედა და თავისიანებისაკენ გაცოცდა.

მასთან მივიდა ბრიგადის მეთაური.

—მეთაური ხართ? — ჰკითხა მან ულიანოვს.

ბრიგადის მეთაურს მკაცრი სახე ჰქონდა და ულიანოვმა გაიფიქრა, ხომ არა დავაშავე-რაო.

— არა, წითელარმიელი.

— თქვენ არწივი ხართ,—უთხრა ბრიგადის მეთაურმა.

რამდენიმე წუთიც არ გასულა, რომ ატყდა ახალი განგაში. ალბათ, უეცარი თავდასხმისაგან დაბნეული და გაქცეული მტერი შემთხვევით წააწყდა ჩვენებს. დაინახეს თუ არა წითელარმიელები, მათ ასტეხეს საშინელი სროლა. ულიანოვმა ხელი სტაცა ხელყუმბარას და პირველი ესროლა მტერს. კომისარი მის გვერდით იყო.

— სტალინისათვის! — იყვირა ულიანოვმა.

ბრძანება რომ გაიგონეს, მებრძოლები იერიშზე გადავიდნენ, და ფინელები გაიქცნენ. ჯერ ისინი ეცნენ ფარდულს, რომელიც შავად მოსჩანდა ტბის პირას, შემდეგ სრულიად მოეფარნენ.

ულიანოვი და კომისარი წავიდნენ იმ ადგილების დასათვალიერებლად, სადაც ის-ის იყო მოხდა შეტაკებები. ბანდიტების გვამები აქაიქ ეყარა. სისხლის კვალმა ისინი მიიყვანა ოფიცერთან, რომელიც ულიანოვმა და ივლევმა პირველადვე მოჰკლეს. უკან რომ ბრუნდებოდნენ, მათ შეხვდათ ივლევი.

— მე კი მეგონა, ცოცხალი აღარა ხარ, — უთხრა ნიკოლოზმა.

— რა გაფიქრებს, სჯობია პირი მოიპარსო, — უპასუხა ულიანოვმა, თან ივლევის ჯაგარს უყურებდა.

○

...ამასწინათ ორივე მეგობარი კვლავ მიდიოდნენ ფინეთის ტყეებით. სიჩუმე იყო, ნაძვის ხეები დაენამქრა, გეგონებოდათ ხეებს თეთრი ფეხსაცმელი აცვიათო. ხანდახან ტოტებიდან წკრიალით ცვიოდა თოვლი.

— იცი, კოლია, ერთი რამ მინდა გითხრა. როგორ გგონია, ვვარგივარ პარტიაში შესასვლელად?

— მე კი აუცილებლად მიგიღებდი, — მაგრამ აი კომისარი და პარტორგანიზაცია რას იტყვიან, არ ვიცი.

ეს ლაპარაკი სწარმოებდა დღისით, საღამოს კი ულიანოვი მიიღეს კანდიდატად. კანდიდატის ბარათით გულთან ულიანოვი წავიდა ახალ დაზვერვაში. უკან რომ დაბრუნდა, დასვენების ნაცვლად ახალი სამუშაო დახვდა: მებრძოლებს წვერულვაში წამოზრდოდათ, —და არასგზით არ შეიძლებოდა მათი დატოვება ასეთი უკულტურო სახით.

ამასწინათ ივანე ულიანოვმა მალაია ვიშერადან მიიღო თავისი ცოლის ტონიას წერილი. წერილში მრავალ საალერსო სიტყვებთან ერთად იყო ამონაჭერი რაიონული გაზეთიდან და იქ მოთხრობილი იყო ივანე ულიანოვის, მალაია-ვიშერელი პარიკმახერის მიერ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობის ამბავი.

ათასეულის კომისარი
პ. ნესტეროვი
ბ. აგაპოვი

(დაბეჭდილია ლენინგრადის სამხედრო ოლქის გაზეთში „ნა სტრაჟე როდინი", იბეჭდება შემოკლებით).

ვურტყათ მტერს, სანამ სრულიად არ გავანადგურებთ!

უდიდესი სიხარულით გავიგე, რომ საბჭოთა მთავრობამ მაღალი ჯილდოს ღირსი გამხადა. ეს ჯილდო ახალ განუზომელ ენერგიას მმატებს თეთრფინელ ბანდიტებთან შემდგომი ბრძოლისათვის. ჩემი და ჩემი ბატარიის მეომრების ამხ. ლაპაევისა და პულკინის დაჯილდოება ამავე დროს არის მთელი ბატარიის, მთელი ნაწილის დაჯილდოება. მხურვალე მადლობას ვუძღვნი პარტიას და მთავრობას, რომლებმაც მუშურ-გლეხური წითელი არმიის ისეთ მეთაურად აღმზარდეს, რომ ესოდენ მაღალი შეფასება დავიმსახურე..

დიდი სტალინის სადიდებლად, საყვარელი სამშობლოს სადიდებლად, ფინელი ხალხის განთავისუფლებისათვის ჩემი ბატარია მომავალშიაც დასცხებს თეთრფინელებს მათ სრულ განადგურებამდე, რათა ფინეთის მთელი ტერიტორია გასწმინდოს მანერჰაიმის ბანდებისაგან.

საბჭოთა კავშირის გმირი, უფროსი ლეიტენანტი დ. მარგულისი

ლენინგრადი, 19 იანვარი (საკდესი).

ასფუთოვან ბრიგადირთა საკავშირო შეჯიბრება

ასფუთოვანთა მოძრაობას ფართო გზა

(სიღნაღი, „კომუნისტის" სპეციალურ კორესპონდენტისაგან)

სტალინგრადის ოლქის ასფუთოვან ბრიგადირთა მოწოდებამ მთელი მასივიდან პურის მაღალი და მყარი მოსავლის მიღების შესახებ ფართო გამოხმაურება ჰპოვა სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებსა და სატრაქტორო ბრიგადებში. დაბა წნორის კოლმეურნეობა „შრომის იმედის" წევრებმა საერთო კრებაზე განიხილეს სტალინგრადის ოლქის ასფუთოვან ბრიგადირთა მიმართვა, რომელიც „კომუნისტის" 1939 წლის 10 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა. ამ კოლმეურნეობის ბრიგადირი გ. მოლაშვილი ჩაება საკავშირო შეჯიბრებაში.

ბრიგადირ გ. მოლაშვილის წინადადებას ასფუთოვანთა მოძრაობაში ჩაბმის შესახებ კოლმეურნეთა საერთო კრებამ ერთხმად მხარი დაუჭირა. კოლმეურნეებმა იკისრეს კარგად მოუარონ ნათესებს და სანიმუშოდ მოემზადონ საგაზაფხულო თესვისათვის.

წნორის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადებიც ჩაებნენ ასფუთოვანთა საკავშირო შეჯიბრებაში და მთელ რიგ სხვა ვალდებულებებთან ერთად იკისრეს: სატრაქტორო ბრიგადებმა და კოლმეურნეობათა მემინდვრეობის ბრიგადებმა ყველა წვრილმანსა და დეტალში შეთანხმებულად იმუშაონ.

ასფუთოვანთა შესანიშნავ ინიციატივას გამოეხმაურნენ აგრეთვე სოფ. ქვემო-მაღაროს კოლმეურნეობა „შრომაშიც". ამ კოლმეურნეობის ბრიგადირებმა მიშა ნავროზაშვილმა და ლადო ბაიდოშვილმა 1938 და 1939 წლებში თავი ისახელეს მაღალი მოსავლის მიღებით. მ. ნავროზაშვილის ბრიგადამ 1939 წელს 53 ჰექტარი მასივიდან ყოველ ჰექტარზე 120 ფუთი პური მიიღო, ხოლო ლ. ბაიდოშვილის ბრიგადამ 20 ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ 120 ფუთი პური ჰექტარზე. მ. ნავროზაშვილი და ლ. ბაიდოშვილი 1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი არიან. გამოფენაზე — გამოცდილების ამ შესანიშნავ სტახანოვურ სკოლაში — ისინი გაეცნენ მარცვლეულის მოწინავეთა, სარეკორდო მოსავლების ოსტატების ეფრემოვის, ჩუმანოვის, ლეინიკოვის, კოსტენკოს მიღწევებს, რომლებსაც მტკიცედ ნერგავენ პრაქტიკაში.

როგორ, რა საშუალებით მიაღწიეს ნავროზაშვილმა და ბაიდოშვილმა მაღალი და მყარი მოსავლის მიღებას? უპირველეს ყოვლისა, აგროტექნიკის ურყევად გატარებით და შრომის მოწესრიგებით. ნიადაგი თავის დროზე აოშეს და ღრმად მოხნეს, მოხნულზე გაატარეს კულტივაცია. საშემოდგომო თესვა შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩაატარეს. პურის აჯეჯილების შემდეგ შეიტანეს გადამწვარი სასუქი. ჯეჯილი დაფარცხეს „ზიგზაგით". ნათესებს საუკეთესოდ მოუარეს.

მაღალი მოსავლის მიღება მათ იმითაც უზრუნველჰყვეს, რომ სატრაქტორო ბრიგადები და მემინდვრეობის საკოლმეურნეო ბრიგადები შეერთებული ძალით მუშაობდნენ. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს (ხვნა, თესვა, მოსავლის აღება) მტს-ი ასრულებს. მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი გიორგი ბერულაშვილი, ტრაქტორისტი სოფიო უსენაშვილი, კ. არეშინი და სტეფანე ოტიაშვილი მთელი წლის განმავლობაში სტახანოვურად მუშაობდნენ და მემინდვრეობის ბრიგადებს კარგ დახმარებას უწევდნენ.

გასულ წელს მემინდვრეობის ბრიგადებში მოწყობილი იყო რგოლები. მაგრამ რგოლები იყო არა მუდმივი, არამედ სეზონური—განსაზღვრული სახის სამუშაოს შესასრულებლად. ნავროზაშვილის და ბაიდოშვილის ბრიგადებმა, რომლებიც იბრძვიან 1940 წელს მაღალი სტალინური მოსავლის მიღებისათვის, ბრიგადებში დააკომპლექტეს მუდმივი რგოლები და კიდევ უკეთესად აწყობენ შრომას.

მ. ნავროზაშვილის და ლ. ბაიდოშვილის ბრიგადები გაეცნენ სტალინგრადის ოლქის ასფუთოვან ბრიგადირების მიმართვას და იკისრეს 1940 წელს ბრიგადის მთელი მასივიდან (თვითეულ ბრიგადაში საშემოდგომო პური დათესილია 100 ჰექტარზე) მიიღონ სულ მცირე 120 ფუთი პური ყოველ ჰექტარზე.

ამ ბრიგადებში ენერგიულ მუშაობას ეწევიან მინდვრის თაგვის წინააღმდეგ საბრძოლველად. ნაკისრი აქვთ ვალდებულება, — მეტი რაოდენობით შეიტანონ ნათესებში სასუქი, სანიმუშოდ მოემზადონ საგაზაფხულო კულტურების თესვისათვის. უეჭველია, ეს ვალდებულებანი განაღდებული იქნება.

თ. კუნჭულია

ჰექტარზე საშუალოდ 180 ფუთ სიმინდს მოვიყვან

(ბრიგადირის წერილი)

დიდმა **სტალინმა** საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ტრიბუნიდან კოლმეურნეობათა წინაშე დასახა ამოცანა—მივაღწიოთ მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე 12-13 ცენტნერის რაოდენობით. ბელადის ეს დავალება წულუკიძის რაიონის სოფ. კუხის შმიდტის სახელობის კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადამ თავის მუშაობაში ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანად გაიხადა. შედეგიც კარგი მოვიპოვეთ—ჰექტარზე საშუალოდ მივიღეთ 120 ფუთი სიმინდი, ცალკეული ნაკვეთებიდან კი 180 ფუთიც.

ამ წარმატების „საიდუმლოება" უბრალოა და ყველასათვის ხელმისაწვდომი. აგრონომები დიდი ხანია გვიხსნიდნენ, თუ რა სასარგებლოა ცხენისწყლის შლამი. დავუჯერეთ აგრონომებს და მათი მითითების მიხედვით შევუდექით მოშლამვას, რაც ჩავატარეთ იანვარში წყლის მიშვებით. წყალი ფართობში მიშვებული გვქონდა ერთი თვის განმავლობაში. წყალმა დასტოვა ერთი სანტიმეტრზე მეტი სისქის შლამი.

თებერვალში მძრალად მოხნული მიწები ავაოშეთ. დიდ ყურადღებას ვაქცევდით შრომის მოწესრიგებას. ბრიგადა დავყავით ხუთ რგოლად, თვითეულ რგოლს მიცემული ჰქონდა გეგმა, რგოლის ხელმძღვანელები პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ მათზე მიმაგრებულ სამუშაოს. მუშაობის პერიოდში მემინდვრეობის ბრიგადას ყოველდღიური კავშირი ჰქონდა სატრაქტორო ბრიგადასთან. თვითონ მე ვესწრებოდი ტრაქტორის მუშაობას, რათა არ დარჩენილიყო მოუხნავი ადგილები, ტრაქტორისტს დაეცვა ხვნის სიღრმე, ფართობიდან ფართობში გადასვლისას ტრაქტორს არ დაეზიანებინა სარწყავი არხები. თესვა ვადამდე რამდენიმე დღით ადრე დავამთავრეთ. სიმინდი პირველად გავთოხნეთ, როდესაც მესამე ფოთოლს იღებდა. მეორე თოხნაც თავის დროზე შევასრულეთ. სამის ნაცვლად კულტივაცია ოთხჯერ ჩავატარეთ. ამ ღონისძიებებით საშუალო საკოლმეურნეო მოსავალი 120 ფუთით გავზარდეთ. იმ 8 ჰექტარიდან, რაც წყლის მიშვებით მოვშლამეთ, 1.440 ფუთი სიმინდი, ე. ი. ჰექტარზე საშუალოდ 180 ფუთი სიმინდი მივიღეთ. აგრონომების მითითება გამართლდა.

ამ სტახანოვურ აგროტექნიკას ჩვენ წელს უფრო ფართოდ ვიყენებთ. წყლის მიშვებით ვშლამავთ ბრიგადაზე მიმაგრებულ მთელ სათეს ფართობს, რაც საშუალებას მოგვცემს 1940 წელს ბრიგადაში ჰექტარზე საშუალო მოსავალი ავიყვანოთ 180 ფუთამდე.

გიორგი ბალანჩივაძე

წულუკიძის რაიონის სოფ. კუხის შმიდტის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ასფუთოსანი.

გ. კ. ორლოვი

თვითმფრინავ „სსრ ნ-171"-ის მეთაური

გაფრენები „სედოვისაკენ"

მთელი პროგრესიული კაცობრიობა აღტაცებით ადევნებდა თვალყურს იმ დიდ სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას, რომელსაც არქტიკის შუაგულში თავდადებულად ეწეოდნენ დიადი საბჭოთა ხალხის გმირი შვილები — ყინულმჭრელი გემის „სედოვის" მეზღვაურები. მათ გაამდიდრეს მეცნიერება ახალი ცნობებით ცენტრალური პოლარული აუზის შესახებ, ჩაატარეს უძვირფასესი დაკვირვებანი დინებაზე, ტემპერატურაზე, მაგნეტურ და სხვა მოვლენებზე.

ასეული მილები აშორებდნენ სედოველებს სოციალისტური სამშობლოს სანაპიროებისაგან, როდესაც მათი ლეგენდარული გემი იმ რაიონში დრეიფობდა, სადაც ისტორიას არ ახსოვს, რომ როდისმე ყოფილიყო რომელიმე სხვა ხომალდი. მაგრამ ამ უდიდესმა მანძილმა ვერ დააბრკოლა სედოველები იმაში, რომ მათ ყოველდღიური კავშირი ჰქონოდათ თავიანთ ქვეყანასთან. უმაგალითო დრეიფის 812 დღის განმავლობაში მათ არასდროს არ უგრძვნიათ მარტოობა, არ უგრძვნიათ ის, რომ მოწყვეტილი ყოფილიყვნენ ძლევარ საბჭოთა ხალხს. სედოველები გაბედულად და გულდაჯერებით ასრულებდნენ თავიანთ სამუშაოს ცენტრალური არქტიკის ყინულოვან სივრცეებში, დარწმუნებული იყვნენ, რომ გაჭირვების ჟამს მათ მუდამ აღმოუჩენდნენ საჭირო დახმარებას. მათ კარგად იცოდნენ, რომ ამხანაგი სტალინი არასოდეს არ დასტოვებს ადამიანს გაჭირვებაში. ისინი მუდამ გრძნობდნენ სტალინის მამობრივ ზრუნვას.

...მაგონდება 1938 წლის თებერვლის საღამო. ხუთი პოლარელი მფრინავი, ამხანაგები: მოლოკოვი, ალექსეევი, გოლოვინი, სლეპნიოვი და მე კრემლში გამოგვიძახეს, რათა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისათვის მოგვეხსენებინა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ნოვოსიბირსკის კუნძულების ჩრდილოეთით ყინულთა ტყვეობაში ჩავარდნილი ყინულმჭრელი გემები „სედოვი", „სადკო" და „მალიგინი". ამხანაგი სტალინი დაწვრილებით გვეკითხებოდა ყველაფერზე. მას განსაკუთრებით აინტერესებდა ის, თუ მფრინავები რა გზით ფიქრობდნენ მოდრეიფე გემებიდან ხალხის გადმოყვანას. საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ა. დ. ალექსეევმა დაწვრილებით მოახსენა „სედოვის", „სადკოსა" და „მალიგინისაკენ" საჰაერო ექსპედიციის გაგზავნის გეგმა.

ამხანაგმა სტალინმა ამ გეგმაში მთელი რიგი მეტად ძვირფასი შენიშვნები შეიტანა, რომლებიც იქითკენ იყო მიმართული, რომ ამ საქმეში აუცილებელი რისკი მინიმუმამდე შემცირებულიყო. მომავალ გაფრენებთან დაკავშირებული საკითხების საფუძვლიანი განხილვის შემდეგ ამხანაგმა სტალინმა, მოლოტოვმა, ვოროშილოვმა და მიქოიანმა ბედნიერი მგზავრობა გვისურვეს. არასოდეს არ დამავიწყდება ამხანაგ სტალინის მიერ იმ საღამოს წარმოთქმული სიტყვები:

— მართებული საქმეა. გაფრინდნენ. საქმის შესრულება კი ღირსების საკითხია.

სტალინის რჩევა-დარიგებით ალფრთოვანებულებმა, ჩვენ უფრო ენერგიულად მოვკიდეთ ხელი მაღალი განედის საჰაერო რეისის მომზადებას.

26 თებერვალს — კრემლში მიღების მესამე დღეს — მოსკოვის ცენტრალური აეროდრომიდან აფრინდა ჩრდილოეთის პოლუსზე ნამყოფი სამი ოთხმოტორიანი საჰაერო ხომალდი. თვითმფრინავ „სსრ ნ-172"-ს პილოტობდა ექსპედიციის უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ა. დ. ალექსეევი, თვითმფრინავ „სსრ — ნ-170"-ს საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. პ. გ. გოლოვინი. მე მიმყავდა მესამე თვითმფრინავი — „სსრ ნ-171".

ექსპედიციის გზა ყაზანზე, სვერდლოვსკზე, ომსკზე, ნოვოსიბირსკზე, კრასნოიარსკზე, იაკუტსკზე, ტიქსის უბეზე გადიოდა.

3 აპრილს, როცა მოდრეიფე გემებმა 80 პარალელს მიაღწიეს და ტიქსის უბიდან 1170 კილომეტრზე იმყოფებოდნენ, საჰაერო ექსპედიციის თვითმფრინავები უბიდან „სედოვის", „სადკოსა" და „მალიგინის" ქარავანისაკენ გაფრინდნენ. ამ დღეს 22 კაცის გადმოყვანა მოვახერხეთ მოდრეიფე გემებიდან.

ნისლი და პურგა ლაპტევების ზღვის რაიონში ორი კვირის განმავლობაში ხელს უშლიდა გემებთან ჩვენი გადაფრენის განახლებას.

ოპერაცია რომ დაგვეჩქარებინა, იძულებული გავხდით გაფრენის ბაზა გადაგვეტანა ტიქსის უბის ჩრდილოეთით — კოტელნის კუნძულზე, რომელიც გაცილებით უფრო ახლო იყო მოდრეიფე ქარავანთან. ალექსეევს და გოლოვინს მოდრეიფე ქარავნის მოზამთრეები კოტელნის კუნძულზე გადაჰყავდათ. მე კი ისინი კოტელნიდან მატერიკზე გადამყავდა. მუშაობა საგრძნობლად გაგვიადვილეს მოდრეიფე გემების ეკიპაჟებმა, რომლებმაც კარგი აეროდრომები მოამზადეს ყინულზე, აგრეთვე კოტელნის კუნძულის პოლარული სადგურის მოზამთრეებმა.

28 აპრილს, როცა ოპერაცია დამთავრებულ იქნა, საჰაერო ხომალდების ეკიპაჟებმა ტიქსის ბუხტიდან ამხანაგ სტალინს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს უპატაკეს:

„თქვენი დავალება მოდრეიფე ყინულმჭრელებიდან — „სადკოდან", „სედოვიდან", „მალიგინიდან"—ადამიანთა გადმოყვანის შესახებ შესრულებულია ალექსეევის „ნ-172", გოლოვინის „ნ-170", ორლოვისა „ნ-171" თვითმფრინავების მიერ. ტიქსიდან გადმოყვანილია 184 კაცი, ყინულმჭრელებზე დატოვებულია 33 კაცი, რომლებიც 2 წლისაზე მეტი ვადით არიან მომარაგებულნი სურსათით, ტანისამოსით და საწვავი მასალით.

ვამაყობთ თქვენ მიერ მოცემული დავალების შესრულებით".

25 მაისს ჩვენი თვითმფრინავები მოსკოვს დაბრუნდნენ, გაიარეს რა დაახლოებით 22.000 კილომეტრი ძნელი საჰაერო გზა.

ყინულმჭრელები „სედოვი", „სადკო" და „მალიგინი" განაგრძობდნენ დრეიფს ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში და ყოველთვიურად უფრო და უფრო ღრმად მიიწევდნენ ცენტრალურ პოლარულ აუზში.

1938 წლის ზაფხულში, ამხანაგ სტალინის პირდაპირი მითითებით, მიღებულ იქნა ზომები ყინულების ტყვეობიდან გემების დასახსნელად. მოდრეიფე გემებისაკენ გაიგზავნა სახაზო ყინულმჭრელი „ერმაკი". პრწყინვალედ შეასრულა რა დავალება ყინულებიდან თხუთმეტი გემის გამოყვანის შესახებ, „ერმაკმა" კურსი აიღო ჩრდილოეთისაკენ „სედოვისა", „სადკოსა" და „მალიგინისაკენ".

მან მოახერხა „სადკოსა" და „მალიგინის" გამოყვანა დრეიფიდან. „სედოვი", კი, რომელსაც ყინულების შეკუმშვამ საჭე დაუზიანა, ვერ გამოჰყვა ბუქსირზე „ერმაკს". დრეიფში დარჩენილი „სედოვი" გადაქცეულ იქნა მოძრავ სამეცნიერო-საკვლევო სადგურად.

რამდენიმე ხნის შემდეგ „სედოვისაკენ" გაიგზავნა საფლაგმანო ყინულმჭრელი „ი. სტალინი". მაგრამ პოლარული ბინდბუნდის პირობებში ამ ყინულმჭრელის ეკიპაჟი, რომელიც მძიმე ყინულებს წააწყდა, იძულებული გახდა სამხრეთისაკენ მოებრუნებინა გემი, თუმცა მან ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო.

მალე დაიბადა აზრი გაგვეგზავნა გემთან ახალი საჰაერო ექსპედიცია ამხანაგების თუნდაც ნაწილის შესაცვლელად. გაიგეს რა ეს, სედოველებმა მხურვალე მადლობა შემოუთვალეს ამხანაგებს სტალინსა და მოლოტოვს მათზე ზრუნვისათვის და თხოვნით მიმართეს მთავრობას დრეიფის დასრულებამდე გემზე დაეტოვებინა ეკიპაჟი. მამაცი საბჭოთა მეზღვაურების თხოვნა, რომელნიც მზად იყვნენ ყოველგვარი საგმირო საქმისათვის სამშობლოს სასახელოდ, დაკმაყოფილებულ იქნა. მაგრამ ამავე დროს ამხანაგმა სტალინმა გვირჩია მზად გვყოლოდა სედოველებისათვის მძიმე თვითმფრინავი. უდიდესი სიხარულით გავიგეთ მე და ჩემმა ამხანაგებმა—ეკიპაჟის დანარჩენმა წევრებმა, რომ ნება დაგვრთეს ვიფრინოთ ამ თვითმფრინავით.

შორეული პასუხსაგები რეისისათვის მზადება ძალიან სწრაფად გაჩაღდა. სედოვის ვახტის გასაწევად გამოყოფილ იქნა ოთხმოტორიანი საჰაერო ხომალდი „სსრ ნ-171", რომლითაც მე უკვე მოვახდინე ორი დიდი პოლარული გადაფრენა: პირველად როგორც მეორე პილოტმა— ჩრდილოეთის პოლუსზე და მეორედ როგორც მეთაურმა — მოდრეიფე ყინულმჭრელების „სედოვისა", „სადკოსა" და „მალიგინის" ქარავნისაკენ.

ერთერთ საავიაციო ქარხანაში თვითმფრინავი გაკეთებულ იქნა სპეციალურად „სედოვისაკენ" გაფრენისათვის. თვითმფრინავ „სსრ—ნ-171"-ის ეკიპაჟი შედგენილი იყო იმ ადამიანებისაგან, რომელნიც კარგად იცნობდნენ არქტიკაში ფრენის პირობებს. თვითმფრინავით ჩვენ წავიღეთ სურსათის სამი თვის მარაგი და სხვა საჭირო ტვირთი.

1939 წლის 21 მარტს ჩვენი მანქანა აფრინდა მოსკოვის აეროპორტზე და კურსი აიღო ჩრდილოეთისაკენ.

ჩვენი თვითმფრინავი მიფრინდა რუდოლფის კუნძულზე, რათა აქ, „პოლუსის კარიბჭესთან" გაეწია საპატიო ვახტი.

ჩვენ მუდამ მზად ვიყავით იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ გავფრენილიყავით „სედოვისაკენ". დაძაბული ყურადღებით ვადევნებდით თვალყურს მოდრეიფე ყინულმჭრელის მამაცი მეზღვაურთა გმირულ საქმეებს. ჩვენი ამოცანა ის იყო, რომ საჭირო შემთხვევაში სასწრაფოდ გავფრენილიყავით სედოველებისაკენ და ხმელეთზე გადმოგვეყვანა ისინი. ამ შემთხვევისათვის ჩვენმა თვითმფრინავმა სედოველებს წამოუღო 800 კილოგრამამდე სურსათი—ახალი ხორცი, ვიტამინიზირებული გაყინული კენკრა და ხილი, აგრეთვე სხვადასხვა კონცენტრატი.

დრეიფი მშვიდობით დამთავრდა. სედოველთა თავდადებული მუშაობის მეოხებით მოდრეიფე გემი დაუზიანებელი განთავისუფლდა ყინულების ტყვეობიდან. ამიტომ ჩვენი გაფრენა ზედმეტი გახდა. თვითმფრინავ „სსრ ნ-171"-ის ეკიპაჟმა დიდი სიხარულით გაიგო, რომ საფლაგმანო ყინულმჭრელმა „ი. სტალინმა" ყინულებს გამოჰგლიჯა ლეგენდარული გემი და რომ სედოველები გამარჯვებულნი ბრუნდებიან მშობლიურ ნაპირებზე.

რუდოლფის კუნძულის პოლარული სადგურის მოზამთრეებთან ერთად ჩვენ განვიცდით კანონიერი სიამაყის გრძნობას ჩვენი ხალხისათვის, რომელმაც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით აღზარდა ისეთი დევგმირები, როგორიც სედოველები არიან. ჩვენ აღტაცებულნი ვართ მათი გამბედაობით, მამაცობით, ბოლშევიკური ორგანიზებულობითა და დარაზმულობით დიადი საბჭოთა მიწა-წყლის ყველაზე ჩრდილოეთი ფორპოსტიდან — რუდოლფის კუნძულიდან—თვითმფრინავ „სსრ ნ-171"-ის ეკიპაჟი მხურვალე მილოცვას უთვლის „სედოვის" მეზღვაურებს:

— გილოცავთ გამარჯვებას, ამხანაგებო!

— გილოცავთ სტალინური დავალების წარმატებით შესრულებას!

(საკდესი).

პარტიული ცხოვრება

ღირსეული ადამიანები—ლენინ-სტალინის დიადი პარტიის რიგებში

დაუღალავად ვზარდოთ ახალგაზრდა კომუნისტები

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი — ამხ. დ. ოქრუაშვილი) გულისხმიერად ეკიდება პარტიაში მიღებას და ახალგაზრდა კომუნისტთა ბოლშევიკურად აღზრდას. ორგანიზაცია დღითიდღე იზრდება წარმოების მოწინავეებით, ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის უსაზღვროდ ერთგულ ადამიანებით. გასული წლის განმავლობაში პარტიულმა ორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებად მიიღო 101 მოწინავე ამხანაგი, კანდიდატობიდან წევრად გადარიცხა 74 კაცი.

საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებად მიღებულთა შორის არიან წარმოების ისეთი მოწინავე ადამიანები, როგორიცაა ტრესტის მთავარი ინჟინერი გ. მშვიდობაძე, ტროლეიბუსის შოფრები, სტახანოველები მ. მურადოვი და ნ. გაიდინი, ტროლეიბუსების სახელოსნოს ბრიგადირი ა. ურთქმელიძე და სხვ.

პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს კარგად ესმით, რომ საქმე ამა თუ იმ მოწინავე ამხანაგის საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღებით არ მთავრდება, რომ პირიქით, საჭიროა დაუღალავი ბრძოლა ახალგაზრდა კომუნისტთა იდეურად აღზრდისათვის. ამ თვალსაზრისით საამქროების პარტიული ბიუროები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან. საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებთან მათი პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის ხშირად ტარდება საუბრები და თათბირები.

საკ. კ. პ. (ბ) წევრობის 67 კანდიდატიდან, რომლებიც ამჟამად ტრამვაისა და ტროლეიბუსების პარტიულ ორგანიზაციაში ირიცხებიან, 44 კაცს აქვს პარტიული დავალება, რომელთა შესრულების შემოწმებას საამქროების პარტბიუროები დროულად აქცევენ ყურადღებას. ახალგაზრდა კომუნისტთა უმრავლესობა აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პარტკანდიდატი ამხ. ს. ნონიკაშვილი პროფჯგუფორგად მუშაობს ტროლეიბუსების სამმართველოში. საამქროს პარტიული ორგანიზაცია მას ახასიათებს, როგორც საუკეთესო პროფჯგუფორგს, რომელიც თავისი მუყაითი მუშაობით მაგალითის მიმცემია დანარჩენი პროფჯგუფორგებისათვის. საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი შოფერი ამხ. სკირიშიანი მოწინავე აგიტატორია, მისი საუბრები მუდამ მიმზიდველია, მას დიდის ყურადღებით უსმენენ მსმენელები. კარგად ასრულებს აგიტატორის მოვალეობას აგრეთვე პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. ა. ვიატკინი. საზოგადოებრივ მუშაობაში გამოირჩევიან აგრეთვე ახალგაზრდა კომუნისტები ი. კასრაძე, მ. ჰანტურია, ზ. წივილაშვილი.

შინაპარტიულ ცხოვრებაში იგრძნობა სიახლე, რომელიც ახალგაზრდა კომუნისტებმა შეიტანეს. ისინი გამოდიან პარტიულ კრებებზე, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, ხშირად შეაქვთ საქმიანი წინადადებანი. ტროლეიბუსის შოფერი ა. ვიატკინი პარტიაში შესვლამდე მორცხვობდა, კრებებზე არ გამოდიოდა. ახლა იგი გააქტიურდა, ხშირად გამოდის პარტიულ კრებებზე, შეაქვს პრაქტიკული წინადადებანი.

დიდი მუშაობა გასწიეს პარტიის წევრობის კანდიდატებმა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მომზადებისა და ჩატარების საქმეში.

საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატები სერიოზულად ეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მათი დიდი უმრავლესობა დამოუკიდებლად სწავლობს პარტიის ისტორიას. პარტბიურო პერიოდულად იწვევს პარტისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა თათბირებს. უკანასკნელად ჩატარებულ თათბირზე გადაწყდა 27 იანვარს თეორიული კონფერენციის მოწყობა, რომლისთვისაც მონდომებით ემზადებიან ახალგაზრდა კომუნისტებიც.

პარტიაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის საქმეში თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს პარტიულ ორგანიზაციას აქვს ნაკლოვანებანიც: პარტიული ორგანიზაცია შედარებით სუსტად მუშაობს საკ. კ. პ. (ბ) რიგებში წარმოების მოწინავე ქალების მისაღებად, ახლად მიღებულთა შორის საკმაოდ მცირეა მათი რიცხვი.

ლ. ტურიევი

მზრუნველობით ვზარდოთ პარტიის რიგები

დ. კოპიაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანი.

ამხანაგმა **სტალინმა** საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე პარტიის შემდგომი ზრდისა და განმტკიცების დარგში პარტიულ ორგანიზაციებს მთელი რიგი საბრძოლო ამოცანები დაუსახა.

გურჯაანის რაიონის პარტიული ორგანიზაცია განუხრელად ასრულებს დიდი სტალინის ბრძნულ მითითებებს, რის შედეგადაც რაიონის პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო იზრდებიან და მტკიცდებიან.

1939 წლის პირველი იანვრისათვის რაიონში გვყავდა 62 პირველადი პარტიული ორგანიზაცია 720 წევრისა და კანდიდატის რაოდენობით; 1940 წლის პირველი იანვრისათვის გვყავს 78 პარტიული ორგანიზაცია 1242 წევრისა და კანდიდატის შემადგენლობით. მათ შორის 141 ქალია, ალკკ რიგებიდან მიღებულია 557.

მიღებულთა შემადგენლობა შემდეგ სურათს იძლევა: ტრაქტორისტები — 26, მოწინავე კოლმეურნეებიდან—371, აგრონომები და აგრო-ტექნიკოსები—47, ექიმები — 3, მასწავლებლები — 172, მოსწავლეები — 18. თუ პარტიაში მიღების განახლების დღიდან საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამდე პარტიის რიგებში მიღებული იყო 672 წევრი და კანდიდატი, პარტიის XVIII ყრილობის შემდეგ 1940 წლის 1 იანვრისათვის რაიონის პარტორგანიზაციებმა პარტიის რიგებში მიიღეს 673 პარტიის წევრი და კანდიდატი.

სოფ. ველისციხის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო საავადმყოფოს ქირურგი ამხ. ლ. ლომთათიძე, რომელსაც მუშაობის 10 წლის სტაჟი აქვს, ახალგაზრდა სპეციალისტი ამხ. ტავლალაშვილი და სხვ. პარტიულმა ორგანიზაციებმა საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებად მიიღეს ექიმი ლოლაშვილი, მაჭაშვილი, დარახველიძე და სხვები, რომელთაც დაიმსახურეს ნდობა და ავტორიტეტი მასებში. რაიონის პარტიული ორგანიზაციები თავიანთ რიგებს ზრდიან სტალინური ეპოქის მოწინავე ადამიანთა ხარჯზე.

რაიონის პარტიული ორგანიზაციები, ასრულებენ რა დიდი სტალინის ბრძნულ მითითებას პარტიის XVIII ყრილობაზე, პარტიაში იღებენ ჩვენი ქვეყნის წარჩინებულ ადამიანებს, რომლებმაც საქმით დაუმტკიცეს ლენინ-სტალინის პარტიას თავიანთი ერთგულება. ახლად მიღებულ პარტიის წევრ-კანდიდატებიდან ათეული და ასეული ამხანაგები წამოყენებული იყვნენ რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად, რომლებმაც არჩევნებში მიიღეს ხმების 100 პროცენტი. ახალმიღებულთაგან მარტო რაიონულ საბჭოში დეპუტატებად არჩეულია 14 ამხანაგი, საქალაქო საბჭოში—6 და სასოფლო საბჭოებში 100-ზე მეტი ამხანაგი.

პარტიაში ახალმიღებულთაგან მრავალი ამხანაგი დააწინაურეს საპასუხისმგებლო სამუშაოზე. მაგალითად, მარო სეფიაშვილი პარტიის წევრობის კანდიდატი, რაიონული საბჭოს პირველმა სესიამ აირჩია რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივნად. ამხ. ა. სვიმონიშვილი წამოყენებულია რაიონის პროკურორად, ამხ. ნ. ნემსიწვერიძე რაიკომის ინსტრუქტორად და სხვ. გარდა ამისა, ახალმიღებულთაგან 7 ამხანაგი 1939 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ ითვლებოდა. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე, სოფ. კარდენახის კოლმეურნეობა „წითელი მარანი“, რომლის თავმჯდომარეა პარტიის წევრი ამხ. გ. ტეტელოშვილი, დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით, 10.000 მანეთით და მსუბუქი ავტომანქანით; კარდენახის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნა“, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. დოლენჯაშვილი, დაჯილდოებულია მეორე ხარისხის დიპლომით, 5.000 მანეთით და მოტოციკლეტით. ახალმიღებულთაგან ხუთასამდე ახალგაზრდა კომუნისტი ბოლშევიკურ აგიტაციას ეწეოდა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების შესანიშნავ დღეებში.

გურჯაანის მტს-ის პარტორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი — ამხ. ჩაჩანიძე) პარტიის რიგებში მიიღო 34 წევრი და კანდიდატი. გარდა ამისა, რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში ისეთი ორგანიზაციებიც არის, რომლებიც ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ პარტიაში მიღების საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ საკმაო დრომ განვლო პარტიაში მიღების განახლების დღიდან, ზოგიერთ პირველადს პარტორგანიზაციებში დღემდის არცერთი კაცი არ მიუღიათ. ასეთი ორგანიზაციებია: სოფ. შრომის რკინიგზის სადგურის პარტორგანიზაცია (პარტორგი — ამხ. ქევხიშვილი), სოფ. კალაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პარტიული ორგანიზაცია (პარტორგი—დ. ამანაშვილი), მუკუზნის რკინიგზის სადგურის პარტორგანიზაცია (პარტორგი — ამხ. ბეროშვილი) და ჩუმლაყის ტერიტორიული პარტორგანიზაცია (პარტორგი — ამხ. ბეგაშვილი). აღნიშნულ პარტორგანიზაციებს მეტი დახმარება ესაჭიროებათ რაიკომის ინსტრუქტორებისაგან, რომ უზრუნველჰყონ პარტიის ზრდის მოწესრიგება სოფლის მოწინავე ადამიანების ხარჯზე. არიან ისეთი პარტორგანიზაციები, რომლებიც უსულგულოდ ეკიდებიან პარტიაში მისაღებ პირთა დოკუმენტების გაფორმებას და არღვევენ პარტიაში მიღების ლენინურ-სტალინურ პრინციპებს, მისაღები პირის ინდივიდუალური შესწავლის საქმეს ეკიდებიან ზერელედ, რაც შემდეგ რაიკომის ბიუროს სხდომებზე მჟღავნდება.

რაიონის პარტიული ორგანიზაციების წინაშე ამჟამად დგას მეტად სერიოზული ამოცანა ახალმიღებულთა შორის მუშაობის გაუმჯობესების მხრივ. ახალგაზრდა კომუნისტების ბოლშევიკურად აღზრდას პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სამწუხაროდ, რაიონის ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ამ მიმართულებით არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციაში არ ეხმარებიან პარტიის წევრობის კანდიდატებს ხუბულაშვილს, მინდიაშვილს, აზნიაიძეს და სხვებს.

გურჯაანის რაიონის პარტიული ორგანიზაციები უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან და საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** ბრძნული მითითებების საფუძველზე უზრუნველჰყოფენ პარტიული ორგანიზაციების ზრდას მოწინავე ადამიანებით.

პრესის მიმოხილვა

როგორ აშუქებს პარტიულ ცხოვრებას ცაგერის რაიონული გაზეთი

ცაგერის სასოფლო საბჭოსთან არსებულმა პარტიულმა ორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღო ამბროსი ახვლედიანი, მაგრამ საკ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომმა არ დაამტკიცა პირველადი პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილება ახვლედიანის პარტიაში მიღების შესახებ, რადგან გამოირკვა, რომ იგი ყოფილი მიკიტანია, დიდხანს ეწეოდა სპეკულაციას. არ გასულა რამდენიმე დღე, რომ ახვლედიანმა „მოინანია ცოდვები“ და კვლავ მიმართა პარტიულ ორგანიზაციას პარტიაში მიღების შესახებ. ახლა კი „შეიწყნარეს ახვლედიანის თხოვნა“, იგი მიიღეს პარტიაში. ეს მაგალითი მეტად საგულისხმოა. გაზეთმა, რომელსაც მოეპოვება ასეთი ფაქტები, მკვეთრად უნდა დააყენოს საკითხი, განაზოგადოს იგი, შექმნას საზოგადოებრივი პარტიული აზრი, რათა შემდეგში ადგილი აღარ ექნეს ასეთ დამახინჯებებს პარტიაში მიღებისას. მაგრამ ასე არ მოიქცა ცაგერის რაიონული გაზეთი „ბოლშევიკური ტემპით“. გაზეთი დაკმაყოფილდა აღნიშნული ფაქტის უბრალო რეგისტრაციით, ის კი არ დაავიწყდა, რომ წერილისათვის მიეკერებინა ასეთი დაბოლოვება:

> **„საჭიროა პარტორგანიზაცია და პარტორგი რ. ასათიანი ყოველ წუთს იგონებდეს ცენტრალური კომიტეტის მითითებას ყველა პარტიულ ორგანიზაციებისადმი—პარტიაში მისაღებთა ინდივიდუალური შერჩევის შესახებ“.**

ეს ფაქტი გამონაკლისს არ შეადგენს გაზ. „ბოლშევიკური ტემპით“-ის მუშაობაში პარტიული ცხოვრების საკითხებზე. თუ სწერს პარტიულ თემაზე, გაზეთი მეტწილად კმაყოფილდება პარტიულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა უბრალო რეგისტრაციით, ვერ ახდენს საკითხების განზოგადებას, ვერ აჰყავს ისინი პრინციპულ სიმაღლეზე, სამაგიეროდ მის თითქმის ყველა წერილს აქვს ასეთი არაფრისმთქმელი, ტრაფარეტული დასკვნები:

> **„...უნდა გარდაქმნან მუშაობა მე-18 პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე“; „...დაუყოვნებლივ უნდა შეამოწმოს გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობა, განიხილოს იგი პარტკრებაზე და მიიღოს გადამჭრელი ღონისძიება ჩამოთვლილ უმსგავსოებათა აღსაკვეთად“; „...საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციამ აქედან სათანადო დასკვნები გააკეთოს“ და სხვ. და სხვ.**

ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ, რომ წერილებს დასკვნებს უკეთებდნენ გაზეთები, მაგრამ პარტიული გაზეთი ხომ მოვალეა ამ დასკვნებში ანალიზი გაუკეთოს ამათუიმ ფაქტს და უჩვენოს კონკრეტული გზები ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გაზ. „ბოლშევიკური ტემპით“-ის ფურცლებზე პარტიული ცხოვრების საკითხების გაშუქება სეზონურ ხასიათს ატარებს; ხშირად თითქმის მთელი თვე გავა და გაზეთში ვერ შეხვდებით წერილს პარტიულ თემაზე. მაგალითად, გასული წლის 23 ოქტომბრის შემდეგ გამოსულ მთელ რიგ ნომრებში (№№ 44, 48, 49, 50, 52 და სხვ.) ვერ შეხვდებით წერილებს პარტიულ ცხოვრებაზე. ამ თემაზე მოწინავე სტატიებსაც იშვიათად ნახავთ გაზეთში. ეს იმას ნიშნავს, რომ გაზ. „ბოლშევიკური ტემპით“-ის მუშაკები უსისტემოდ მუშაობენ პარტიული ცხოვრების საკითხებზე. ამის შედეგად კი რაიონის პარტიული ცხოვრება ვერ პოულობს გამოხატულებას რაიონული გაზეთის ფურცლებზე. მაგალითად, გაზეთმა ვერ გვიჩვენა რაიონის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით, გაზეთი ნაკლებად სწერს პარტიაში მიღებასა და ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდაზე, იმაზე, თუ როგორ ეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები.

გაზ. „ბოლშევიკური ტემპით“-ის მუშაკებს უნდა მოვაგონოთ, რომ ფაქტების უბრალო რეგისტრაციით და პარტიულ ცხოვრებაზე წერილების შემთხვევიდან შემთხვევამდე ბეჭდვით საქმე შორს ვერ წავა. რედაქციამ უნდა მიაღწიოს იმას, რომ პარტიული ცხოვრების განყოფილებამ წამყვანი ადგილი დაიკავოს გაზეთში, მასალები პარტიულ თემებზე თავსდებოდეს სისტემატურად. ცხადია, რედაქცია მარტო შტატიანი მუშაკებით ვერაფერს გააწყობს, მან თავის გარშემო უნდა შემოიკრიბოს პარტიული აქტივი, რიგითი კომუნისტები, რაიკომის მუშაკები, მათთან ერთად ხშირად განიხილოს გაზეთის პარტიული განყოფილების გეგმა. საერთოდ, ამ აქტივს შეუძლია ბევრი საინტერესო თემა უკარნახოს გაზეთს. ნაკლოვანებათა მხილებასთან ერთად გაზეთმა უნდა უჩვენოს პარტიული მუშაობის დადებითი გამოცდილება, მოახდინოს მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება. ყოველივე ამით გაზეთი დაეხმარება რაიონულ კომიტეტს პარტიული მუშაობის სანიმუშოდ მოწყობაში. ხოლო რაც უფრო მჩქეფარე იქნება პარტიული ორგანიზაციების მუშაობა, მით უფრო უკეთესად შესრულდება რაიონის წინაშე მდგომი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანები.

მტკიცედ დავიცვათ ინდივიდუალური შერჩევის პრინციპი

(ლანჩხუთი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ლანჩხუთის რაიონის პარტიული ორგანიზაციები, ხელმძღვანელობენ რა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებით, სერიოზულ მუშაობას ეწევიან ლენინ-სტალინის პარტიაში კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგულ ადამიანთა მისაღებად.

ლანჩხუთის საშუალო სკოლასთან არსებულმა პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის წევრად გადარიცხა საშუალო სკოლის დირექტორი, შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული ამხ. ოლღა კონსტანტინეს-ასული გურიელიძე. მამათის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) წევრად გადარიცხა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სტახანოველი კოლმეურნე ჟონა კილაძე, რომელმაც 1939 წელს 620 შრომადღე გამოიმუშავა. სუფსა-ომფარეთის ნავთსაძიებლის პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიაში მიიღო მოწინავე სტახანოველები: მ. მეგრელაძე, კ. აფხაზავა, ა. ბარამიძე და სხვები.

რაიონის ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია გამოედევნა პარტიის რიგების რიცხობრივ ზრდას და დაივიწყა პარტიაში მისაღებთა ინდივიდუალური შერჩევის პრინციპი. მაგალითად, სუფსის ტერიტორიულმა პარტორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი—ზ. ჩხიკვაძე) საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღო ვ. სიხარულიძე. შემდეგ გამოირკვა, რომ წარსულში ის იყო „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წევრი, ეს კი მან დამალა პარტიაში შესვლის დროს. რაიკომის ბიურომ ვ. სიხარულიძეს უარი უთხრა პარტიაში მიღებაზე.

ამავე პარტორგანიზაციამ წინასწარ შეუსწავლელად პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო ა. მურადოვი, რომელმაც დაუმალა პარტიას თავისი წარსული. საქ. ალკკ ც. კ-ის ბიუროს მიერ მას მიცემული ჰქონდა უკანასკნელი გაფრთხილება რევოლუციური სიფხიზლის მოდუნებისათვის. ასევე, შეუსწავლელად მიიღო პარტიაში ლაშისღელის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი — ან. ჩიკაშუა) შ. ცინცაძე, რომელიც დაპატიმრებული იყო მილიციის ორგანოების მიერ, როგორც შრომის დეზორგანიზატორი და სისხლის სამართლის საქმეზე მსჯავრდადებული.

ვ. მექვაბიშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

(ბათუმი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი პარტბიუროებისა და პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების მონაწილეობით.

პლენუმმა განიხილა ქალაქკომის მდივნის ამხ. ო. ჯიბლაძის მოხსენება ქალაქის პარტორგანიზაციების მიერ 1939 წელს პარტიაში ახალ წევრთა მიღების შედეგებზე. ამხ. ო. ჯიბლაძის მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 10 ამხანაგმა. მოხსენებიდან და კამათში გამოსულთა სიტყვებიდან გამოირკვა, რომ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ ქალაქის პარტორგანიზაციები მნიშვნელოვნად გაიზარდნენ. 1939 წლის განმავლობაში პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებულ იქნა 580 ამხანაგი, ხოლო პარტიის წევრობის კანდიდატობიდან წევრად გადარიცხულია 377 კაცი.

XVIII პარტყრილობის შემდეგ ქალაქად შეიქმნა 9 პირველადი პარტორგანიზაცია. პლენუმზე აღინიშნა, რომ სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხნის, „გლავნეფტის“, სავაგონო დეპოს, განსახკომის, სამკერვალო ფაბრიკის და სხვა პარტორგანიზაციები გაიზარდნენ მოწინავე ადამიანთა ხარჯზე. აღინიშნა ისიც, რომ თამბაქოს ფაბრიკის, ტყავის ქარხნის და ლიმონათის ქარხნის პირველადი პარტორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ პარტიაში ახალ წევრთა მიღებისათვის.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე ქალაქკომის მდივნის ამხ. მ. ლობჟანიძის მოხსენება მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის შესახებ.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა აჭარ-ოლქკომის და ბათუმის ქალაქკომის მდივანმა ამხ. მ. ბარამიამ.

პლენუმმა ორივე საკითხის გარშემო მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

ქ. დობორჯგინიძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1939 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1. აბელ კონსტანტინეს-ძე **რაზმაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 2845351 — სიყალბის ჩადენისა და პარტიული საწევრო გადასახადის გაფლანგვისათვის.
2. მელიქ დავითის-ძე **მირზოევი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1925 წლიდან, პარტბილეთი № 1538822 — რადგან მან პარტიას დაუმალა, რომ უცხოეთის ქვეშევრდომი იყო.
3. არტემ ივანეს-ძე **ტაპარკიანი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1929 წლიდან, პარტბილეთი № 1505744 — სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის.
4. კირილე კონსტანტინეს-ძე **გოგია** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1930 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0927433 — ხულიგნობისა და ლოთობისათვის, მწვავე დეფიციტური მასალების განიავებისათვის, 1932 წლიდან 1937 წლამდე ბინის ქირის გადაუხდელობისათვის.
5. ვარლამ მიხეილის-ძე **ბუკია** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1931 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0710877 — რკინიგზის ქონების დატაცებაში მონაწილეობის მიღებისათვის.
6. არსენ თომას-ძე **გურაბანიძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1934 წლიდან, პარტბილეთი № 1519966 — სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის.
7. აბრამ ისაკის-ძე **მაჭარაშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0930707 — სიყალბის ჩადენისათვის.
8. ნესტორ ევგენის-ძე **ნათელაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან (ყვარლის რაიონის პარტორგანიზაციიდან) — ყოფაცხოვრებითი გახრწნილებისათვის.
9. გრიგოლ თევდორეს-ძე **კაპანაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1264999 — ქურდობისათვის.

ა. გ. წულუკიძის სახლი-მუზეუმი ქუთაისში

მშრომელი კაცობრიობის ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით ქუთაისში გაიხსნა ღირსშესანიშნავი გამოფენა, მიძღვნილი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ალექსანდრე (საშა) წულუკიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი.

წულუკიძის სახლი-მუზეუმი, — ასე უწოდებენ მას, — ბოლშევიზმის პროპაგანდის ახალი კერაა. იგი მოთავსებულია ყოფილ გეგუთის (ამჟამად წულუკიძის) ქუჩაზე მდებარე ერთსართულიან პატარა სახლში, სადაც 1902 - 1905 წლებში, სხვადასხვა დროს, ცხოვრობდა და მუშაობდა მგზნებარე რევოლუციონერი ა. წულუკიძე.

ა. წულუკიძემ მთელი თავისი სიცოცხლე ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის ბრძოლას შესწირა. ამაზე ცოცხლად და მჭერმეტყველურად მოგვითხრობს წულუკიძის სახლი - მუზეუმის თვითეული დოკუმენტი და ექსპონატი.

პირველი ექსპონატია სურათი — პატარა ალექსანდრე 7 წლის ასაკში, ჩოხა-ახალოხით და სატევრით. მარჯვნივ და მარცხნივ მამის—გრიგოლის და დედის—ოლიმპიას ფოტო-სურათებია. შემდეგ — ძველი ქუთაისის საერთო ხედი XIX საუკუნის 90-იან წლებში, ქუთაისის გიმნაზია, სადაც ალექსანდრე სწავლობდა, ალექსანდრეს განცხადება პროგიმნაზიის ინსპექტორის სახელზე ვაჟთა გიმნაზიაში საბუთების გადაგზავნის შესახებ და მეტრიკული ამონაწერი. განყოფილება მთავრდება მარქს-ენგელს-ლენინ - სტალინის სურათებით.

მეორე განყოფილება იხსნება მხატვარ ვოლგინის სურათით „ლენინურ ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ფუძემდებელნი ამიერ-კავკასიაში: სტალინი, წულუკიძე, კეცხოველი, კურნატოვსკი“.

ყველა დოკუმენტი, რომელიც კი ამ და სხვა განყოფილებებშია წარმოდგენილი, მნახველს ერთხელ კიდევ ღრმა რწმენით ავსებს და ასწავლის, რომ „მესამე დასის“ უმრავლესობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ჩაისახა, ჩამოყალიბდა და გაიზარდა ლენინურ-ისკრული რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ამიერ-კავკასიაში. აქვე ნახავთ ლენინის წიგნის—„რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“ პირველი გამოცემის ფოტოასლს და გაზეთ „ისკრის“ პირველ ნომერს, რომლის გვერდით გამოკრულია თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ლენინურ - ისკრული ჯგუფის პირველ არალეგალურ ქართულ გაზეთ „ბრძოლის“ პირველი ნომერი. აქვეა თბილისის იმ მოწინავე მუშების სურათები, რომლებსაც 1898 წელს დაუკავშირდა ახალგაზრდა სტალინი.

1897 წელს ა. წულუკიძე მოსკოვში წავიდა სწავლის განსაგრძობად, სადაც ის კვლავ აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა მარქსისტული წრეების მუშაობაში. ერთერთ წერილში მოსკოვიდან ალექსანდრე წულუკიძე სწერს: „ამ წერილს—მარქსის „კაპიტალის“ მეორე ტომზე ვწერ და ვფიქრობ: როდის იქნება ის ნეტარი დრო, რომ ჩვენ ცხოვრებაში გამოიღოს ნაყოფი ამ დიდებული მეცნიერის აზრებმა“ (წერილი დათარიღებულია 1897 წ.). წულუკიძის ნაშრომთა გამოფენა იხსნება მოსკოვიდან 1898 წელს გამოგზავნილი კორესპონდენციით—„ნეკროლოგი ჯაფარიძის შესახებ“ (გაზ. „კვალი“, № 22, 1898 წ.), რომელშიაც იგი მარქსიზმის ბურჟუაზიულ დამმახინჯებელთა წინააღმდეგ ილაშქრებს, ამხელს ცრუმარქსისტებს. მნახველები დიდი ინტერესით ეცნობიან წულუკიძის ნაშრომებს.

სახლი ქუთაისში, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა ა. წულუკიძე. ახლა ამ სახლში გახსნილია ა. წულუკიძის სახელობის მუზეუმი.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა)

მესამე განყოფილება იწყება მხატვარ ქუთათელაძის სურათით „ბათუმის მუშების დემონსტრაცია ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით 1902 წლის 9 მარტს“. შემდეგ ფოტოასლი გაზეთ „ისკრის“ № 26-ისა, სადაც მოთავსებულია სტატია ბათუმის მუშების პროცესის შესახებ, და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას იძლევიან ბათუმის ამბებზე. 1902 წლის 18 (5) აპრილს დააპატიმრეს ამხანაგი სტალინი. აი, ბათუმის მეოთხე უბნის ბოქაულის ვინმე ჩხიკვაძის პატაკი ბათუმის პოლიცმეისტერისადმი — ი. ბ. სტალინის დაპატიმრების შესახებ; რსდმპ ბათუმის ს.-დ. ჯგუფის ორი, 1902 წლის 10 და 29 ივნისის პროკლამაცია, დაწერილი ამხანაგ სტალინის მიერ ციხეში ყოფნისას. ამას მოსდევს ისტორიული დოკუმენტები ლენინურ-ისკრული იატაკქვეშეთის შესანიშნავი ორგანიზატორის, ამიერ-კავკასიაში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ერთერთი ფუძემდებლის ამხ. ლ. კეცხოველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. 1904 წლის იანვარში სტალინი გამოიქცა გადასახლებიდან, რამაც მეტად გააცოფა მეფის ხელისუფალნი. ამას ნათლად გვიხატავს ფოტოასლი ირკუტსკის ჟანდარმთა სამმართველოს შიფრიანი დეპეშისა სტალინის გამოქცევის შესახებ. მნახველთა ყურადღებას იპყრობს მხატვარ ციმაკურიძის სურათი „ი. ბ. სტალინის არალეგალურად დაბრუნება თბილისში“.

მესამე განყოფილების ერთი კუთხე მთლიანად დათმობილი აქვს დოკუმენტებს იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის საქმიანობის შესახებ. აქ არის კომიტეტის წევრების ი. სტალინის, ა. წულუკიძის, ჯაფარიძისა და ცხაკაიას ფოტო-სურათები და სტალინისა და წულუკიძის მიერ დაწერილი პროკლამაციები, რომლებსაც კომიტეტი ავრცელებდა დასავლეთ საქართველოს რაიონებში. ისინი—ეს პროკლამაციები—საბრძოლო მოწოდებას წარმოადგენდნენ ცარიზმის წინააღმდეგ. რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა დასავლეთ საქართველოში, რასაც იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი მეთაურობდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, გრანდიოზული ხასიათის გახდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩვენი პარტიის მესამე ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ ფაქტს.

მუზეუმის დამთვალიერებელი ნახავს ლენინის შესანიშნავი შრომების—„რა ვაკეთოთ?“ და „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ პირველი გამოცემის ფოტოასლებს და ეგზემპლარებს, აგრეთვე ამხანაგ სტალინის მიერ ქართულ-რუსულ და სომხურ ენებზე 1905 წელს გამოცემულ შრომას „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“. ალ. წულუკიძის ამ პერიოდის ნაშრომებს ეკუთვნის მთელი რიგი შესანიშნავი სტატიები, როგორც, მაგალითად, „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები“ და „პატარა შენიშვნა დიდ კითხვაზე“. ამ უკანასკნელ სტატიაში, რომელიც დაწერილია ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ, წულუკიძემ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა მენშევიზმის „იდეოლოგიურ“ პრინციპებს.

მესამე განყოფილება მთავრდება წულუკიძის შესახებ სხვადასხვა შრომებისა და პერიოდულ გამოცემათა გამოფენით. აქვეა ამხ. ლავრენტი ბერიას შესანიშნავი წიგნი „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, ამხ. წულუკიძის თხზულებათა კრებული, მწერალ დ. კლდიაშვილის „მემუარები“, რომელშიც ის იგონებს წულუკიძის მოღვაწეობას ბათუმში და მის ბრძოლას ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ.

აი უკვე მეოთხე განყოფილებაში ხართ. მუზეუმის ეს განყოფილება წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე. აქ ატარებდა თავის უკანასკნელ დღეებს, აქ მუშაობდა ა. წულუკიძე. სამწუხაროა, რომ ამ ოთახის სავსებით აღდგენა ვერ მოხერხდა, რადგან წულუკიძისეული ნივთების დიდი რაოდენობა ველარ აღმოაჩინეს. ამ ხარვეზს ავსებს მხატვარ ხუციშვილის სურათი „ოთახი, სადაც ცხოვრობდა ალ. წულუკიძე“. ოთახში დაცულია ზოგიერთი ნივთი, რომლებითაც სარგებლობდა წულუკიძე. სამუშაო მაგიდა, სამელნე თავის მოწყობილობით, პატარა მაგიდა, წულუკიძის საკუთარი წიგნები. ყოველი წაკითხული წიგნის ფურცლებზე თქვენ გხვდებათ საყურადღებო, განსაცვიფრებელი შენიშვნები, საიდანაც სჩანს, თუ როგორ ბეჯითად ეუფლებოდა ა. წულუკიძე მარქსისტულ მეცნიერებას, თუ რა ზიზღით ივსებოდა იგი მარქსიზმის მოწინააღმდეგეთა მიმართ.

იქ, სადაც სიკვდილის წინ, მძიმე სენით—ტუბერკულოზით დაავადებული, წყეული ცარიზმის მიერ დევნილი, ყოველდღიური მუშაობით დაღლილი და მოქანცული ალ. წულუკიძე იწვა, დგას მინაგადაკრული მაგიდა, რომლის ქვეშ გამოფენილია მრავალი საგულისხმო, წარსული შავბნელი დროისადმი უზომო ზიზღის აღმძვრელი დოკუმენტი წულუკიძის ავადმყოფობისა და გარდაცვალება - დასაფლავების შესახებ. როგორც ცნობილია, წულუკიძის დასაფლავება გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა. ამაზე მეტყველებენ იმდროინდელი გაზეთების ნომრები, ფოტოსურათები და სხვა ექსპონატები. მათ შორის დიდ ინტერესს იწვევს მხატვარ ვეფხვაძის სურათი—„ამხანაგი სტალინი სიტყვას ამბობს წულუკიძის დასაფლავებაზე“, სამგლოვიარო პროცესიის ფოტოსურათი, გადაღებული ქუთაისიდან გამგზავრების წინ, სტალინური გაზეთის „პროლეტარიატის ბრძოლის“ მე-9 ნომერი, მიძღვნილი წულუკიძისადმი; სპეციალური ნომრები ჟურნალ „მოგზაურისა“, რომლის რედაქციის წევრი და მუდმივი თანამშრომელი იყო წულუკიძე. მათში მოთავსებულია ათეულობით სამგლოვიარო დეპეშები.

უკვე მორჩით ყველა ექსპონატის დათვალიერებას, ყოველი საგულისხმო დოკუმენტის გადაკითხვას. სახლი-მუზეუმიდან გამოსვლა კი მაინც არა გსურთ, კვლავ უკან ბრუნდებით და განმეორებით, მრავალჯერ განმეორებით კითხულობთ გაზეთ „ახალი ცხოვრების“ 1906 წლის მეხუთე ნომრის მოწინავე წერილის მგზნებარე სიტყვებს, იმ გაზეთის, რომლის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო დიდი სტალინი.

„არიან ისეთი პირები, რომელთა სახელს პროლეტარიატი ვერ დაივიწყებს.

ისინი მოკვდნენ, ისინი სამუდამოთ დაგვშორდნენ, მაგრამ მათი წმინდა აჩრდილები თავს დაგვტრიალებენ და ყურში ჩაგვჩურჩულებენ: **იბრძოლეთ სოციალიზმისათვის!**

დიდება და სახელი მათს აჩრდილებს!

ისინი ჩვენთან აღარ არიან, ისინი სამარეში განისვენებენ, მაგრამ მათი მადლიანი სახეები, ეკლის გვირგვინით მორთული სახეები, ჩვენს წინ სდგებიან და გვეუბნებიან: **იბრძოლეთ თავისუფლებისათვის!**

დიდება და სახელი მათს სახეებს!

ისინი წავიდნენ, ისინი გაჩუმდნენ, მაგრამ მათი მიმკრთალი, ციხეში ჯდომით მისუსტებული ხმა ჯერ კიდევ ყურებში გვიტრიალებს: **სისხლი აიღეთო!**

დიდება და სახელი მათ გამომაღვიძებელ ხმას!

ალექსანდრე წულუკიძე ასეთ პირებს ეკუთვნის, და მას ვერ დაივიწყებს პროლეტარიატი“.

რევოლუციის მგზნებარე მებრძოლის ამხანაგ ა. წულუკიძის სამარადისო ხსოვნა უკვდავყოფილია, მისი ძვირფასი ძეგლი სოციალიზმის უძლეველი ქვეყანაა

ბ. ყურაშვილი

ამერიკის მემორანდუმი ინგლისის მთავრობას

ნიუ-იორკი, 24 იანვარი (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა მემორანდუმი, რომელიც 20 იანვარს გადაეცა ინგლისის ელჩს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ მემორანდუმში სახელმწიფო დეპარტამენტი ბრალს სდებს ინგლისელებს იმაში, რომ ისინი ამერიკის გემებს გიბრალტარში სამჯერ უფრო მეტი ხნით აკავებენ, ვიდრე იტალიის გემებს.

„ზოგიერთ შემთხვევებში, — ნათქვამია მემორანდუმში, — ამერიკის გემებს წინადადება ეძლევათ ამერიკის კანონები დაარღვიონ და განსატვირთავად გაემართონ მეომარი ქვეყნის ნავსადგურში — მარსელში, სადაც მათ კვლავ აკავებენ გასაჩხრეკად".

მემორანდუმს დართული აქვს სია ამერიკის გემებისა, რომლებიც გიბრალტარში იყო დაკავებული 11 ნოემბრიდან 23 დეკემბრამდე.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის სიტყვით, სახელმწიფო დეპარტამენტი თავის მემორანდუმში ეყრდნობა ამერიკის ნოტას, რომელიც ინგლისისათვის გადაუცია ამერიკის ლონდონელ ელჩს კენედის; ამ ნოტის შესახებ წინათ არაფერს არ იტყობინებოდნენ.

ამრიგად, ახლა გამორკვეულია, რომ უკანასკნელი 2 თვის განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 5 დიპლომატიური წარდგინებით მიჰმართა ინგლისს.

ინგლისელებმა იაპონიის გემი გაჩხრიკეს

ტოკიო, 21 იანვარი (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ 12 საათსა და 30 წუთზე ინგლისის კრეისერმა იაპონიის ტერიტორიულ წყლებში, იაპონიის სანაპიროდან 35,5 მილზე, გააჩერა იაპონიის გემი „ასამა-მარუ", რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან იოკაგამაში მიდიოდა. ინგლისის კრეისერის მეზღვაურები „ასამა-მარუს" გემბანზე ავიდნენ და გაჩხრიკეს. გემზე იმყოფებოდა 51 გერმანელი. 21 გერმანელი ინგლისელებმა კრეისერზე წაიყვანეს.

ბერლინი, 22 იანვარი (საქდესი). ტრანსოცეანის სააგენტოს კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება, რომ ინგლისელების მიერ იაპონიის გემის „ასამა-მარუს" დაკავებამ დიდი აღელვება გამოიწვია იაპონიაში. სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს: ეს პირველი შემთხვევაა, რომ იაპონიის გემზე გერმანელ მოქალაქეებს აპატიმრებენო.

კორესპონდენტის სიტყვით, იაპონიის საგარეო სამინისტროს წარმომადგენელმა ინგლისის კრეისერის მოქმედებას „მოულოდნელი" მოქმედება უწოდა. ამჟამად იაპონიის მთავრობა გულდასმით იკვლევს ამ ინციდენტს, რის შედეგადაც გადასწყვეტს, თუ რა ზომები იქნება მიღებული.

გაზეთმა „ასახიმ" გამოაქვეყნა გემ „ასამა-მარუს" ეკიპაჟის წევრთა შორის მყოფ მოწმეთა განცხადება. ისინი აღნიშნავენ, რომ ინგლისის კრეისერის სარდლობის განკარგულებაში წინდაწინ იყო „ასამა-მარუს" გემბანზე მყოფ ყველა გერმანელთა სრული სია. ტოკიოში ფიქრობენ, რომ ეს სია შედგენილი იყო ინგლისის დაზვერვის მიერ.

ტოკიო, 23 იანვარი (საქდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო აღნიშნავს, გერმანიის ტოკიოს საელჩომ განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიაც ხაზგასმით აღნიშნავს: საელჩო დარწმუნებულია, რომ იაპონია ყველა საჭირო ზომებს მიიღებს „იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისი აშკარად ჩაერია იაპონიის ზღვაოსნობაშიო".

ტოკიო, 22 იანვარი (საქდესი). იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ტანიმ ინგლისის ელჩ კრეიგის გადასცა იაპონიის მთავრობის შემდეგი პროტესტი „ასამა-მარუს" გემბანზე მყოფ გერმანელთა უკანონო დაპატიმრების წინააღმდეგ:

„იაპონიის მთავრობას ინგლისის ასეთი მოქმედება სხვანაირად არ შეუძლია განიხილოს, თუ არ როგორც მტრული აქტი იაპონიის წინააღმდეგ, და უფლებას იტოვებს მოითხოვოს დაპატიმრებულ პირთა განთავისუფლება".

ტოკიო, 24 იანვარი (საქდესი). როგორც გაზეთი „ასახი" იუწყება, გუშინ 9 საათზე და 30 წუთზე იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა არიტამ მიიწვია ინგლისის ტოკიოელი ელჩი კრეიგი, რომელთანაც 30 წუთის განმავლობაში ჰქონდა საუბარი. არიტამ პროტესტი განაცხადა ინგლისის იმ სამხედრო გემის უკანონო მოქმედების გამო, რომელმაც დააკავა გემი „ასამა-მარუ". „იაპონია, — განაცხადა არიტამ, — უფლებას იტოვებს მოითხოვოს ინგლისელების მიერ დაკავებულ გერმანელთა განთავისუფლება".

რაც შეეხება იაპონიისაკენ მომავალ იაპონიის სხვა გემებს: „რაკუიო-მარუს", „გინიო-მარუს", „ლაპლატა-მარუს" და „ტატსუტა-მარუს", იაპონია ამჟამად ზომებს იღებს თავისი ინტერესების დასაცავად საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. სასურველია, რომ ინგლისის ფლოტმა სერიოზული ყურადღება მიაქციოს ამ ფაქტს".

როგორც გაზეთი „ასახი" იუწყება, გუშინ შესდგა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საზღვაო სამინისტროს წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა, სადაც განიხილეს ინციდენტი, რომელიც „ასამა-მარუს" შეემთხვა. ამ სხდომის შემდეგ უცხოეთის საქმეთა სამინისტროში გამოწვეულ იქნა ინგლისის საელჩოს ტოკიოელი მრჩეველი დოდსი, რომელსაც წარდგინება გაუკეთეს ამ საკითხის გამო.

ტოკიო, 24 იანვარი (საქდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, არიტამ აცნობა კაბინეტს, რომ 21 იანვარს, საღამოს, ინგლისს პროტესტი განუცხადეს და წარუდგინეს მოთხოვნა იმ 21 გერმანელის დაბრუნების შესახებ, რომლებიც ინგლისელებმა გადაიყვანეს გემ „ასამა-მარუდან".

ინგლისის მუშების პროტესტი მანერჰაიმელთა ბანდებისათვის დახმარების აღმოჩენის წინააღმდეგ

ლონდონი, 23 იანვარი (საქდესი). გაზეთი „დეილი უორკერი" იუწყება, რომ ლონდონის მშენებელ მუშათა რაიონული კომიტეტის ყოველწლიურმა კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს საბჭოთა კავშირის მოქმედებას ფინეთში. ამ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 11.000 მუშა. მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ანტისაბჭოთა პროპაგანდას ინგლისში გადამწყვეტი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს და წამოყენებულია მოთხოვნა—შეწყვეტილ იქნას მანერჰაიმელთა ბანდებისათვის ყოველგვარი დახმარების გაწევა.

მანქანათმშენებელთა გაერთიანებული კავშირის ლონდონის განყოფილებამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც გამოთქმულია აღშფოთება ანტისაბჭოთა კამპანიის წინააღმდეგ, რასაც ეწევა მანქანათმშენებელთა ყოველთვიური ჟურნალის რედაქტორი. რეზოლუცია მოითხოვს, რათა ჟურნალმა შესწყვიტოს ანტისაბჭოთა პროპაგანდა და, გამოაქვეყნოს სტატიები, რომლებიც გამოჰხატავენ მუშების თვალსაზრისს ფინეთის ამბებზე.

კომუნისტი დეპუტატის გამოსვლა ურუგვაის პარლამენტში

ნიუ-იორკი, 24 იანვარი (საქდესი). ინტერნკონტინენტ ნიუსის სააგენტოს ცნობით თეთრფინეთის „პარლამენტისათვის" მისალმების გაგზავნის წინააღმდეგ ურუგვაის დეპუტატთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტმა დეპუტატმა გომესმა... მან განაცხადა, რომ ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ ხელი აალებინონ ურუგვაის პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე.

— მთავრობა, — განაგრძობდა გომესი, — ემორჩილება ამ იმპერიალისტების ზემოქმედებას, რადგან ინგლისი იმუქრება, რომ ჩვენს მიერ ექსპორტირებულ ხორცზე დაბალ ფასს დააწესებს, თუ ურუგვაი ხელს არ აიღებს ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე. შემდეგ გომესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი იცავს ფინელი ხალხის უშიშროებასა და თავისუფლებას. თეთრფინეთის „პარლამენტი" ოდნავაც არ გამოჰხატავს ფინელი ხალხის ინტერესებს.

დასასრულ გომესმა განაცხადა, რომ ურუგვაის კომპარტია მიესალმება დემოკრატიული ფინეთის სახალხო მთავრობას, რომელსაც მეთაურობს კუუსინენი, — ერთადერთ მთავრობას, რომელიც იცავს ფინეთის მშრომელთა ფართო მასების ინტერესებს.

ჩინეთის ჯარის დიდი გამარჯვება

ჩუნცინი, 24 იანვარი (საქდესი). ჩინეთის ჯარმა დიდი გამარჯვება მოიპოვა ხუბეის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც სუიჯოუს სექტორში მან იაპონიის ჯარის ძლიერი შეტევის უკუქცევა შესძლო. ჩინეთის ჯარის ნაწილები ფიცხელ კონტრშეტევაზე გადავიდნენ და გუშინ დილას გაოჩენი (40 კილომეტრზე სუიჯოუს ჩრდილოეთით) დაიკავეს. ჩინეთის ჯარი ფეხდაფეხ მისდევს უკუქცეულ იაპონელებს. აქ 20 ათასი იაპონელი ჯარისკაცი იბრძოდა. აქედან 4 ათასი კაცი მოიკლა და 7 ათასი დაიჭრა. ამგვარად, ამ უბანზე მოქმედი იაპონელთა ჯარის 50 პროცენტზე მეტი მწყობრიდან გამოყვანილია. ჩინელებმა ხელთ იგდეს დავლა, მათ შორის 6 მძიმე და 20 საველე ქვემეხი, აგრეთვე დიდძალი შაშხანა და ტყვიამფრქვევი.

სუიჯოუს სექტორში იაპონელთა განადგურება ჩინეთის ჯარის ამ უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში მეორე გამარჯვებაა ხუბეის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში. ამ სექტორში ჩინელებმა პირველად წარსული წლის მაისში გაიმარჯვეს; მაშინ იაპონელები შეტევის დროს დამარცხდნენ, დიდი ზარალი მოუვიდათ და უკუიქცნენ სუიჯოუსაკენ.

ახალი მიწისძვრა თურქეთში

ანკარა, 24 იანვარი (საქდესი). 22 იანვარს ამასიის, ტოკატის, ეზინჯს და აკდაგას რაიონებში კვლავ იძრა მიწა. მიწისქვეშა ბიძგები ამასიაში უფრო ძლიერი იყო, ვიდრე 27 დეკემბერს. მიწისქვეშა ბიძგები აღნიშნული იყო აგრეთვე ბრუსაში, სინოპსა და ორხანგაზში. ადამიანის მსხვერპლი არ არის.

მისტერ ჩერჩილი ნერვიულობს

მიმდინარე წლის 20 იანვარს ინგლისის საზღვაო მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ნეიტრალურ ქვეყნებში. ეს არც გასაკვირველია, რადგან ჩერჩილის სიტყვა აშკარა მუქარას შეიცავდა ამ ქვეყნების მიმართ. მაგრამ საოცარი რამეა! ჩერჩილის სიტყვამ აშკარა უკმაყოფილება გამოიწვია აგრეთვე... პარიზში. როგორც გერმანიის პრესა იუწყება, საფრანგეთის ელჩმა ლონდონში, დალადიეს დავალებით, პროტესტიც კი განუცხადა ინგლისის მთავრობას. თუ ნეიტრალური ქვეყნების აღშფოთება გასაგებია, მაშ რა არის საფრანგეთის—ინგლისის „ერთგული მოკავშირის" უკმაყოფილების მიზეზი? ეს უკმაყოფილება, ალბათ, აიხსნება მისტერ ჩერჩილის მეტისმეტი გულახდილობით, რადგან ინგლისის საზღვაო მინისტრის განცხადებამ მოულოდნელად გამოამჟღავნა ინგლისის მმართველი წრეების ნამდვილი განწყობილება.

მერე და რა სთქვა ჩერჩილმა? ინგლისის საზღვაო მინისტრმა თავისი სიტყვა დაიწყო დამშვიდებულად და, შეიძლება ითქვას, მეტად ბანალურადაც კი ისეთი გამოცდილი ორატორისათვის, როგორიც იგია. ჩერჩილი ჩვეულებისამებრ ქებით იხსენიებდა ბრიტანეთის ფლოტის „საგმირო საქმეებს" და ყოველნაირად ამტკიცებდა, საზღვაო ომში ინგლისს არც იმდენად დიდი ზარალი მოსდისო.

თავისი სიტყვის შემდგომ ნაწილში იგი გადავიდა ნეიტრალური ქვეყნების საკითხზე და სწორედ აქ თავი იჩინა ჩერჩილის ფიცხმა ტემპერამენტმაც, და... სერიოზულმა შეშფოთებამაც, რომ არა ვთქვათ—შიშმაც.

აღნიშნა რა, და სავსებით სწორადაც, რომ ნეიტრალური ქვეყნები ევროპაში გაჩაღებული ომისაგან განიცდიან უდიდეს გაჭირვებას და ტანჯვას, თითქმის ისეთსავე, როგორც მეომარი ქვეყნები, ჩერჩილმა დიდი საყვედურით და მუქარით მიმართა ნეიტრალურ ქვეყნებს.

მერე და რა დანაშაული მიუძღვით მათ? თურმე ისა, რომ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა საომარი გეგმები კრახს განიცდის. თურმე ისა, რომ ბრიტანეთის იმპერიალიზმი ვერ ახერხებს იომოს სხვისი ხელით, ხოლო საკუთარი ხელის იმედი, როგორცა სჩანს, მას ნაკლებად აქვს.

თუ ჩერჩილის მთავარ აზრს მოკლედ გამოვხატავთ, იგი დაახლოებით ასეთია:

— რას ფიქრობთ თქვენ, ნეიტრალურო ქვეყნებო? რატომ არ ებმებით ომში ინგლისისა და საფრანგეთის მხარეზე? ნუ თუ ჰფიქრობთ, რომ აგცდებათ ეს განსაცდელი? იმედი ნუ გაქვთ, რომ ომი იმ მასშტაბებით განისაზღვრება, რომლებშიც იგი ამჟამად სწარმოებს. „ქარიშხალი არ გადაივლის. იგი იმძვინვარებს და სულ უფროდაუფრო ფართო ტერიტორიას მოედება. იგი გავრცელდება სამხრეთით, იგი გავრცელდება ჩრდილოეთით".

ჩერჩილი იმუქრება, მაგრამ აქვე ამჟღავნებს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა გეგმებს: შეჰქმნან ახალი საომარი ასპარეზები, შეჰქმნან ისინი ჩრდილოეთში, შეჰქმნან ისინი სამხრეთში, ე. ი. ბალკანეთზე.

ჩერჩილი ნერვიულობს და სულ უფროდაუფრო ნათლად და გულახდილად ლაპარაკობს. იგი განმარტავს, თუ რატომ მოითხოვს, რომ ნეიტრალური ქვეყნები ჩაებან ომში, რატომ სჭირდება ინგლისს ახალი საომარი ასპარეზები, სადაც იომებდნენ, რასაკვირველია, ინგლისის ინტერესებისათვის, მაგრამ არა ინგლისის ჯარისკაცები. ეს ბრიტანეთის იმპერიალიზმს იმისთვის სჭირდება, რომ ჩერჩილი ითვალისწინებს—„ომით დაქანცული ინგლისი და საფრანგეთი შეიძლება იძულებული გახდნენ დასდონ სამარცხვინო ზავი".

იგი აშინებს ნეიტრალურ ქვეყნებს, მაგრამ ამავე დროს თვითონაც შიში ეძლევა, როცა პათეტიურად იძახის: „ეს მცირე სახელმწიფოები ხედავენ, რომ გერმანიის არმია მრავალრიცხოვანია, ხოლო გერმანიის საჰაერო ფლოტი კიდევ უფრო მრავალრიცხოვანია და რომ არმიაც და ფლოტიც რიცხვობრივად სჭარბობენ ინგლისისა და საფრანგეთის ძალებს".

გონს მოდის რა, იგი იმეორებს ჩვეულებრივ არგუმენტებს იმის შესახებ, რომ „ბრიტანეთის იმპერიის რესურსები დაუშრეტელია", რომ საჭიროა მხოლოდ დრო მათი მობილიზაციისათვის. მაგრამ დრო არ ითმენს, და ამიტომ... ნეიტრალური ქვეყნები უნდა დაეხმარონ ინგლისსა და საფრანგეთს.

რასაკვირველია, ჩერჩილი სარგებლობს ყოველგვარი შემთხვევით, რომ ცილი დასწამოს სსრ კავშირს და მოუწოდოს ნეიტრალურ ქვეყნებს მიჰბაძონ თეთრფინეთის მაგალითს. მაგრამ ეს უკვე აღარ არის დამაჯერებელი. ინგლისის მინისტრმა ძალიან ბევრი სთქვა, და ვერავითარი კაზმული ფრაზა, ევროპაში „ახალი წესების" ვერავითარი დაპირება ვერ დაჰფარავს მის შეშფოთებას.

მისტერ ჩერჩილი შეშფოთებულია. და არა მარტო იმიტომ, რომ ბრიტანეთის იმპერიალიზმის საომარი გეგმები კრახს განიცდის, არამედ იმიტომაც, რომ არ ხერხდება ნეიტრალური ქვეყნების ჩაბმა ომში, ახალი საომარი ასპარეზები არ იქმნება იქ, სადაც ეს ინგლისს სურს.

ინგლისის ოფიციალური წრეებიც კი ემიჯნებიან ჩერჩილის სიტყვას. ინგლისის პრესა ცდილობს დაამტკიცოს, რომ ჩერჩილის მიერ გამოთქმული აზრები არ გამოხატავენ ოფიციალურ თვალსაზრისს. დეე ასე იყოს. ვთქვათ, რომ ჩერჩილს არ ჰქონია მინდობილი გამოსულიყო ინგლისის მთავრობის სახელით. მაგრამ ჩერჩილს ვერ ვუსაყვედურებთ, რომ იგი არ არის საქმეს გაცნობილი, მით უმეტეს, რომ ინგლისის მინისტრი თვითონ ლაპარაკობს ამაზე და კიდეც ტრაბახობს. მისი სიტყვით, მან იცის არა მარტო ის, რაც ხდება მოკავშირეთა ბანაკში, არამედ ყოველივე ისიც, რაც გერმანიის შიგნით ხდება.

პარიზში უკმაყოფილონი არიან. პარიზში, სწერს საზღვარგარეთის პრესა, შეშფოთებული არიან იმით, რომ ინგლისს გამარჯვება შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნეიტრალური ქვეყნები გამოვლენ დასავლეთის სახელმწიფოთა მხარეზე. საფრანგეთის პრესა ცდილობს შეანელოს ჩერჩილის სიტყვით გამოწვეული შთაბეჭდილება და ყოველნაირად გვარწმუნებს, რომ ჩერჩილი ნეიტრალურ ქვეყნებს მოუწოდებს არა იქითკენ, რომ იომონ მოკავშირეთა მხარეზე, არამედ „მხოლოდ დასთანხმდნენ იმაზე, რომ მათ გემებს ჰბადრაგობდნენ ინგლისის სამხედრო გემები".

პარიზში შიშობენ, რომ ჩერჩილის გულახდილობა გამოიწვევს იმის საწინააღმდეგო მოქმედებას, რასაც იგი ითვალისწინებდა, რომ ინგლისის სამხედრო მინისტრის მიერ ინგლისისა და საფრანგეთის არასაკმაო სამხედრო ძლიერების აღიარება დააფრთხობს ნეიტრალურ ქვეყნებს, ჩაშლის ნეიტრალური ქვეყნების ომში ჩაბმის გეგმებს.

ცხადია, ინგლისის კაბინეტში ყველაფერი რიგზე არ არის. ამ ცოტა ხნის წინათ „გამოურკვეველი მიზეზებით" გადადგა სამხედრო მინისტრი ჰორ-ბელიშა, მთავრობიდან გავიდა პროპაგანდის მინისტრი მაკ მილანი, საზღვაო მინისტრი აშკარად ცუდ გუნებაზეა.

ევროპის პრესა ევროპის ახლანდელ ომს „ნერვების ომს" უწოდებს. ჩერჩილის გამოსვლა გვიჩვენებს, თუ როგორ მოეშალა ნერვები ინგლისის მმართველ წრეებს.

ი. ვიქტოროვი.

(„პრავდა", 25 იანვარი).

ნორვეგიის მშრომელნი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ

სტოკჰოლმი, 23 იანვარი (საქდესი). ამას წინათ ქალაქ პორსგრუნდში (ნორვეგია) შესდგა კომუნალური მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის წევრთა კრება. შეკრებილნი ერთხმად მიღებულ რეზოლუციით მოითხოვენ, რომ მთავრობამ ნეიტრალიტეტი დაიცვას და გადამწყვეტი ზომები მიიღოს იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ომში ჩააბას ნორვეგია.

ნორვეგიის ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიული კავშირის ხელმძღვანელობის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ დახმარება აღმოეჩინოს მანერჰაიმელთა ფინეთს, ახალგაზრდობის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თავმჯდომარე და მდივანი ილია-ლევენსტენი და ულსბერგი სოციალ-დემოკრატიული კავშირიდან გავიდნენ და კომკავშირში შევიდნენ.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

26 იანვარს	27 იანვარს	28 იანვარს
მუდმ. ადგ. ტალ. № 100 ტრავიატა ერევნის სპენდიაროვის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტის გუსელნიკოვის მონაწილეობით—ალფრედი	მუდმ. ადგ. ტალ. № 101 რიგოლეტო ერევნის სპენდიაროვის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტის გუსელნიკოვის მონაწილეობით.	მუდმ. ადგ. ტალ. № 102 მეფის საცოლე

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. სეზონი

26 იანვარს	27 იანვარს	28 იანვარს
მუდმ. ადგ. ტალ. № 98 თოფიანი კაცი	მუდმ. ადგ. ტალონი № 99 ოტელო	მუდმ. ადგ. ტალ. № 100 გუშინდელნი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრი
1939—40 წ. სეზონი.

26 იანვარს	27 იანვარს	28 იანვარს
ურიელ აკოსტა	ჩაქრობილი ხიდი	ვერაგობა და სიყვარული

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახესტრადის საზამთრო თეატრი
პლეხანოვის პროსპექტი № 123. ტელ. 3-66-01.
26, 27, 28, 29, 30 იანვარს
მოსკოვში სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილე
სახელმწიფო ჯაზის კონცერტი
ხელოვნ. დამსახ. მოღვაწის ორდენოსან ა. ხ. აივაზიანის მხატვრ. ხელმძღვან.
დასაწყისი სად. 9 საათზე. დარჩენილი ბილეთები სახესტრადის სალაროში.
ბილეთები იყიდება დილის 11-დან 3 საათამდე, საღამოს 6-დან 10 საათამდე.

სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრი პლეხანოვის, 182
(ყოფ. მუშტაიდი)

27 იანვარს	28 იანვარს	29 იანვარს
ესპანელი მღვდელი	ნაძვრის თვალი	ხაჯარათი

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

სახცირკი, ტელ. 3-11-44 | 26-27-28 იანვარს
სრულიად ახალი პროგრამა
მე-9 მხატვრულ-შემოქმედებითი საცირკო დასის გასტროლები
ატრაქციონი! სოფია მარჩესის ატრაქციონი!
ილუზია და მისი 18 ასისტენტის მონაწილეობით ილუზია
30 იანვარს წარმოდგენა დღისით. დასაწყისი დღ. 2 ს. 30 წ.

„ნაპერწკლიდან" ქუთაისის თეატრში

ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა თავისი მორიგი პრემიერა შალვა დადიანის „ნაპერწკლიდან" მიუძღვნა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის დაბადების 60 წლისთავს. ამ დადგმით თეატრმა მეტად რთული და საპასუხისმგებლო სამუშაო იკისრა. ამოცანის სირთულეს კიდევ უფრო აძლიერებდა ის გარემოება, რომ ქუთაისის თეატრი ერთი წლის წინათ ჩამოყალიბდა.

ახალგაზრდა თეატრისათვის იოლი არ იყო მოეცა მსოფლიო მუშათა კლასის გენიალური ბელადების — ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სრულყოფილი სცენიური განსახიერება. მაგრამ ქუთაისის თეატრმა (რეჟისორები — რესპ. დამს. არტ. **დ. ანთაძე** და **გრ. სულიაშვილი,** მხატვარი — **ს. ნადარეიშვილი,** კომპოზიტორი — **თ. ვახვახიშვილი**) წარმატებით გადასჭრა ეს ამოცანა. ქუთაისის თეატრის სპექტაკლი „ნაპერწკლიდან" ჯანსაღი ემოციებით აღსავსე რეალისტური წარმოდგენაა. სწორად აქვთ გაგებული სპექტაკლის ავტორთ ნაწარმოების დედააზრი, მისი მიმართულება. დამდგმელთ სავსებით სამართლიანად დაუყენებიათ პირველ პლანზე მომქმედ პირთა რევოლუციური ფრთა, მისი წამყვანი, აღმაფრთოვანებელი, დამრაზმავი როლი. შემოქმედებითი აქცენტი მათ გამახვილებული აქვთ რევოლუციონერი მუშების ცხოვრებისა და ბრძოლების ეპიზოდებზე. რეაქციონერ ზიკოვების, თავად გურიელის, ვექილ ბრეგაძის და მათი თანამოაზრეების გახრწნილი, უშინაარსო ყოფა მხოლოდ ფონადაა გამოყენებული.

რეჟისორული ოსტატობის მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სპექტაკლის მშვენიერი მიზანსცენები, პიესის გმირთა სახეების რეალისტურ ხაზებში წარმოდგენა, ნაწარმოების განტვირთვა მეორეხარისხოვანი ტექსტობრივი მასალისაგან.

სათანადო სიმაღლეზე დგას აქტიორთა თამაშიც. **ი. ბ. სტალინის** როლში გამოდის ახალგაზრდა მსახიობი **ალ. კალანდარიშვილი.** იგი გარეგნულ მსგავსებასთან ერთად კარგად გადმოგვცემს სცენიური საშუალებებით ახალგაზრდა ბელადის შინაგან ბუნებას: უბრალოება, აზრის სიღრმე, ფოლადისებური ნებისყოფა, შეუპოვრობა და დაუნდობლობა მტრებთან ბრძოლაში, უდიდესი დამრაზმავი ძალა, მასების გაყოლიება ბოროტების წინააღმდეგ გამანადგურებელი იერიშების მისატანად, შეურყეველი რწმენა გამარჯვებისა, მოვლენების ღრმა ანალიზი, უდიდესი სიყვარულით გამთბარი დამოკიდებულება კლასობრივი თანამოძმეებისადმი—ეს თვისებები ნათლად სჩანს აქტიორის თამაშში. მსახიობმა დიდ წარმატებას მიაღწია ამ მეტად რთული როლის შეუცდომელი ტრაქტოვკით, მისი დამაჯერებლად განსახიერებით.

სარეცენზიო პიესაში **ვ. ი. ლენინის** როლი კიდევ უფრო მეტ სიძნელეს შეიცავს, რადგან იგი მხოლოდ უკანასკნელ სურათში ჩნდება და რამდენიმე ფრაზას წარმოსთქვამს. როლის ტექსტის ასეთი სიმცირე ჰკვეცს მსახიობის შესაძლებლობას. მაგრამ მსახ. **მ. სვანიძემ** წარმატებით შესძლო ამ სიძნელის გადალახვა. მან მკაფიოდ, დამახასიათებელი შტრიხებით განასახიერა ვ. ი. ლენინის სცენიური სახე. დიდხანს გრძელდება მაყურებელთა აღტაცებული ოვაცია, როცა „მთის არწივი" და „მგზნებარე კოლხიდელი" ერთმანეთს ხვდებიან.

პიესის მთავარი სიუჟეტური ხაზი ცაბუს ირგვლივ ვითარდება. ცაბუ ყველაზე დრამატიული ფიგურაა პიესაში. მსახიობს იგი საკმაოდ მდიდარ მასალას აძლევს შემოქმედებისათვის. **თ. ლვინიაშვილმა** ეს შესაძლებლობა კარგად გამოიყენა. დამაჯერებლად არის მოცემული ცაბუს თანდათანობითი ზრდა ჯვარელი მწყემსის ქალიდან მებრძოლ რევოლუციონერ-ბოლშევიკამდე.

ასევე ძლიერნი არიან რევოლუციონერ მუშათა როლების განსახიერებაში **ვ. მეგრელიშვილი** (ზევარი), **შ. ქავჭანიძე** (დესპინე) და **ვ. კინწურაშვილი** (ელიშუქი). ბუნებრივობა და მხატვრული სისადავე თან სდევს მათს თამაშს მთელი სპექტაკლის მანძილზე.

ძალიან კარგი დათიელაა **ვ. ჩხიკვაძე.** მსახიობმა იცის უბრალოებისა და ზომიერების ფასი მხატვრული სახის შექმნის საქმეში და აქაც მოხერხებულად იყენებს ამ საშუალებებს.

ბუნებრივია ფატი ზიკოვას როლში **ც. ამირაჯიბი.** ამპარტავნობა, აზნაურული კუდაბზიკობა, მკვეთრად გამოხატული სიძულვილი „დაბალი" კლასის წარმომადგენლებისადმი, ავხორცობა, რაც ამ ქალბატონს ახასიათებს პიესით, კარგად არის ხაზგასმული მსახიობის შესრულებაში.

მშვენივრად თამაშობს **ან. მურუსიძე** (ნესტორი). მენშევიკების ორპირობა, სიმხდალე, რევოლუციის შიში მკაფიო და დამაჯერებელი ფერებით არის გადმოცემული.

კარგია **კ. აბესაძე** და **შ. ხონელი** — პირველი მედროგე თავადის, შემდეგში პოლიციის აგენტის, ხოლო მეორე ზიკოვის როლში.

რკინიგზელი გერვასი პიესის ერთერთი საინტერესო პერსონაჟია მსახ. **ი. ხვიჩიას** ეს როლი სწორად აქვს გაგებული, მაგრამ მაყურებელი მისგან მეტს მოითხოვდა. შედარებით სუსტია მსახ. **ბ. თევზაძე** თანდილას როლში.

პიესის „ნაპერწკლიდან" დადგმით ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა მნიშვნელოვანი მხატვრული გამარჯვება მოიპოვა.

პ. ბახტურიძე
გ. ყურაშვილი

ძველი ქართული ფრესკები, როგორც მასალა შოთა რუსთაველის ეპოქის შესასწავლად

აკადემიკოსის ი. ა. ჯავახიშვილის ინიციატივით, შოთა რუსთაველის თბილისის მუზეუმმა შეაგროვა სამოქალაქო ხასიათის ძველი ქართული ფრესკების, ფრესკული ჩუქურთმების ნიმუშებისა და ქვის ჩუქურთმების ძვირფასი კოლექცია (უკანასკნელები ცარცის მულაჟებისა და ბარელიეფების სახით). ეს კოლექცია შეიქმნა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის შესწავლის მიზნით.

ფრესკები და ბარელიეფები აინტერესებს მუზეუმს, როგორც მასალა რუსთაველის ეპოქის ტანსაცმლის, თავის მორთულობის, ფეხსაცმლისა და სამკაულების შესასწავლად, ხოლო ჩუქურთმა—როგორც გამოყენებითი ხელოვნება, კოლექციის მთელი რიგი ნიმუშები აშუქებენ საყოფაცხოვრებო საკითხებს: ზოგიერთ ფრესკაზე გამოხატულია სუფრა, საინტერესოა სუფრის მორთულობა, მზარეულის, მებაღის და სხვათა ტანსაცმელი.

კოლექციისათვის მასალები შეგროვებულია ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიული ძეგლებიდან საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.

მუზეუმს უკვე ამჟამად ხელთ აქვს უმდიდრესი მასალა, დაწყებული X საუკუნიდან XVIII საუკუნემდე.

შეგროვებულია ორნამენტის 100-მდე ნიმუში და 30-მდე ბარელიეფი. უკანასკნელები საინტერესო მასალას იძლევიან ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სამკაულების შესასწავლად. ზოგიერთი ბარელიეფი ასახავს შრომის პროცესებს, იარაღის დამზადებას, მშენებლობას და სხვ.

ორიგინალების პირი გადაიღეს მხატვარმა მერი მიქელაძემ, შალვა აბრამიშვილმა და გიორგი ერისთავმა. (საქდესი).

კურორტების კეთილმოწყობა

შარშან ჩვენი ქვეყნის კურორტებში ერთ მილიონამდე კაცი მკურნალობდა და ისვენებდა. წელს ავადმყოფთა მომსახურების გასაუმჯობესებლად მთელი რიგი ღონისძიებანი იქნება განხორციელებული. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის კურორტებში კაპიტალურ სამუშაოებისათვის განზრახულია დაიხარჯოს 6.800 ათასი მანეთი. 20 მილიონამდე მანეთი გათვალისწინებულია დაიხარჯოს სანატორიუმების კეთილმოსაწყობად, პლიაჟებისა და გზების მოსაწყობად. საექსპლუატაციოდ იქნება გადაცემული ახალი შენობები, კერძოდ ბავშვთა ტუბერკულოზის სანატორიუმი ევპატორიაში. სანატორიუმთა უმრავლესობა მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს.

ლ პ ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს

რომ 1940 წლის 17 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ინსტიტუტის მეორე კორპუსის კლუბში (მარის ქუჩა, № 33), შესდგება სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზედაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეც. მუშაკი **ხ. მ. გაბუნია** — თემაზე: **„აზოტოვან სასუქების გავლენა ჩაის ხარისხზე".**

ოფიციალური ოპონენტები: სოფლის მეურნეობის მეც. დოქტორი პროფ. **ვ. ღვალაძე;** სოფლის მეურნეობის მეც. კანდიდატი დოცენტი **ა. მენაღარაშვილი;** ს. მ. მეც. კანდიდატი დოც. **ი. ხოჭოლავა.**

2. ნალჩიკის სელექციის სადგურის მეც. მუშაკი **ა. მ. შულგინი** — თემაზე: **„Температурный режим и влажность поверхностных слоев почвы (0—5 см)".**

ოფიციალური ოპონენტები: სოფლის მეურნეობის მეც. კანდიდატი დოცენტი **გ. ჯიქია;** სოფლის მეურნეობის მეც. კანდიდატი უფროსი მეც. მუშაკი **მ. დარსალია.**

მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ შრომებს ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

508 **ინსტიტუტის დირექტორი დოც. გელაშვილი.**

დედა ვარინკა, და ანიკო ყირმელაშვილები იუწყებიან, რომ 30/I 4 ს. სოფ. ხაშმში დანიშნულია **ქეთინო ყირმელაშვილის** სამოქალაქო პანაშვიდი. 4742

კატო ბოკერია შვილებით ქეთოთი და პეტიათი, რძლით თამარით და სიძით გრამიტონ ასათიანით და შვილიშვილებით იუწყება **სოფიო მიხეილის-ასულ ბოკერიას** გარდაცვალებას. 4748

საქ. სახდაზღვევის სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. მიხეილ ლორთქიფანიძეს მისი დის **ოლიმპიადა კონსტანტინეს-ასულ მიქელაძის** გარდაცვალების გამო. 4754

დები მარია იაგორის-ასული ხარაზოვისა შვილით, რძლით, შვილიშვილებით, ანა იაგორის-ასული გომძისა ქმრით იუწყებიან ძვირფასი ძმის **ზაქარია იაგორის-ძე ავეტიქოვის** გარდაცვალებას. 4747

შვილები ირაკლი და ანიჩკა იუწყებიან ძვირფასი მამის **სიმონ ანტონის-ძე სარალიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26/I 6 ს. გუბის, 7 (ლენრაიონი). გამოსვენება 27/I 4½ ს. კუკიის სასაფლაოზე. 4752

და ელიკო, ძმა ნიკუშა ხატელიშვილები, მამიდა ანა მაჭავარიანისა, სიძე კოლია ლაპარტყავა იუწყებიან საყვარელ **სონია ალექსანდრეს-ასულ ხატელიშვილი-ლომიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ლიხში (საჩხერის რ.). 4744

ბიძა მელიტონ, ბიძაშვილები ნესტორ, მოცვა, აბდულ ცოლშვილით, ჯონი კალანდარიშვილები იუწყებიან ძვირფასი მამიდაშვილის **ალექსანდრე (საშა) ბზიავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 27/I 5 ს. ლიბკნეხტის, 4. 4745

სიდედრი მუკია ბალათურია შვილებით თამარით, ბაბუცათი, ნინოთი, ნესტორით, ბიძები ავქსენტი და მიხა ბალათურიები ცოლშვილით, სიძე ალექსანდრე თოდუა იუწყებიან სიძის **ალექსანდრე (საშა) ბზიავას** გარდაცვალებას. 4746

მე-77 სკოლის პედკოლექტივი იუწყება ამავე სკოლის მასწავლებლის ბაბო გოცირიძის დედის **ნადოს** გარდაცვალებას. 4740

ცეკავშირის პრეზიდიუმი, პარტბიურო და ადგილკომი იუწყებიან ცეკავშირის ადმინისტრატიულ-სამეურნეო განყოფილების უფროსის **ალექსანდრე (საშა) ბზიავას** გარდაცვალებას. 4750

მემანქანის სიფხიზლე

№ 74 სამგზავრო მატარებელმა, რომელიც სადგურ ნავთლუღიდან სადგურ თბილისისაკენ მოდიოდა, საათში 40 კილომეტრი სიჩქარე განავითარა. რკინიგზის ლიანდაგის ორივე მხარეზე გაშენებულ სახლებსა და პატარა ქუჩებს შორის მიჰქროდა მატარებელი. სასიგნალო ნიშნები იმის მაჩვენებელი იყო, რომ გზა თავისუფალია. უეცრად გადასავალზე გამოჩნდა ურემი, რომელზედაც ადამიანები ისხდნენ. მემანქანემ ამხ. შ. კოხრეიძემ იმწამსვე მისცა კონტრორთქლი და სწრაფად დაამუხრუჭა ორთქლმავალი. მატარებელი 10 მეტრ მანძილზე გაჩერდა ურმიდან. კატასტროფა თავიდან იქნა აცილებული.

სიფხიზლისა და მაღალი დისციპლინიანობისათვის თბილისის საორთქლმავლო დეპოს უფროსმა ამხ. სალარიძემ მადლობა გამოუცხადა ამხ. კოხრეიძეს და მის თანაშემწეს ამხ. თაიროვს.

ქარხნის კომპოზიტორები

ლენინგრადის გაერთიანებული სახპოლიტსამმართველოს სახელობის ოპტიკურ-მექანიკური ქარხნის კოლექტივი სამართლიანად ამაყობს თავისი ნიჭიერი კომპოზიტორებით. ქარხნის მექანიკოსმა ნ. ა. გოლეშჩანოვმა, რომელმაც პირველი ადგილი დაიჭირა საკ. ალკკ 20 წლისთავისათვის საუკეთესო სიმღერის დაწერაზე გამოცხადებულ საერთო საქალაქო კონკურსში („კლიმის ხმალი"—პოეტ ვ. აზაროვის ტექსტზე), ამას წინათ დაამთავრა საცეკვაო სიუიტი რუსეთის სფსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისათვის. ინჟინერმა ვ. ი. კლესტოვმა დასწერა ორი პრელუდია, რომანსი „ხმა ტყეში"—(ა. მაიკოვის ტექსტი).

ახალი საბჭოთა ოპერა

კ. ს. სტანისლავსკის სახელობის სახელმწიფო საოპერო თეატრმა მუშაობა დაიწყო კომპოზიტორ სერგი პროკოფიევის ოპერაზე „მშრომელი ხალხის შვილი ვარ". ოპერის ლიბრეტო თავის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით დასწერა მწერალმა ვალენტინ კატაევმა.

გ. ტაბიძის დაუბეჭდავი ლექსების წაკითხვის საღამო

27 იანვარს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კლუბში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის დაუბეჭდავი ლექსების წაკითხვის საღამო.

საღამოზე შესავალი სიტყვით გამოვა ირ. აბაშიძე. გ. ტაბიძის ახალი ლექსების შესახებ სიტყვას იტყვის—შ. რადიანი. შემდეგ გ. ტაბიძე წაიკითხავს თავის დაუბეჭდავ ლექსებს. დასასრულ, გამოვლენ მწერლები.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1540165, გაცემული რაჟდენ მელიტონის-ძე ბუგიანიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

27 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში შესდგება პროპაგანდისტული სემინარის ყველა რგოლის მორიგი მეცადინეობა.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა** — „ტრავიატა" (ტალ. № 100), **რუსთაველის სახელობის** — „თოფიანი კაცი" (ტალ. № 98), **მარჯანიშვილის სახელობის** — „ურიელ აკოსტა".

კინოებში: **რუსთაველის სახ.**—„ახალი დროება", **დამკვრელი** — „პატრიოტი", **ოქტომბერი** „თერთმეტი დედაქალაქი", **კომკავშირელი** — „ზანგეზურ", **სპარტაკი**—„გემის გზა", **ლუქსემბურგის სახ.** — „საბჭოთა სამშობლოსათვის", **26 კომ. სახ.** — „ინჟინერ კოჩინის შეცდომა", **კომინტერნი** — „მფრინავები".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

და თებრონე, დისწული ანიჩკა ქმრით ალექსანდრეთი და შვილებით გივით და თინათი კობახიძეები იუწყებიან დაუვიწყარ **პორფილე დავითის-ძე ფანჯავიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/I ქ. ქუთაისში. გამოსვენება ბუდიონის ქ. 14. 4751

თბილისის სამეანო სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებელ მარგალიტა ფანჯავიძის მამის **პორფილეს** გარდაცვალებას. 4741

კობახიძე, ვახანია, გეტაშვილი, ძველაია, ქებაძე, ტალიაშვილი, ჩუბინიშვილი, კაჭარავა, ჯანელიძე, ხუჭუა, შათირიშვილი, დაფქვიაშვილი, კოლოსოვსკაია, ბუკია, სულაბერიძე, საყვარელიძე, პახომოვი, თედეევი იუწყებიან ა. ჭანიშვილის მამის **ილიას** გარდაცვალებას. 4725

კეკელია, გიორგიძე, შარაშიძე, ფერაძე, ხატიაშვილი, დადიანი, ჩხენკელი, ფოჩხუა, ნიკოლაძე, იოსელიანი იუწყებიან ჟუჟუნა მიქელაძის საყვარელი დედის **ოლიმპიადას (ლიპა)** გარდაცვალებას. 4737

შუშანა, ვანო ელენტები, ევროსი, ჯიმშეთი ჩხაიძეები, ნინო, ვიქტორ ცერცვაძეები, ლუბა, ლოლა, ლენა, ანიკო, დარეჯან, ნათელა, ვახტანგ ჭანიშვილები იუწყებიან ბიძის **ილია ჭანიშვილის** გარდაცვალებას. 4738

მეუღლე ლიდა, შვილები თინა, ეთერ, და სალომე, რძალი ნატა შვილებით, სიმამრი ნიკო, ცოლისძმები ლადი, მაკარ ხუბუები ცოლშვილით იუწყებიან **იოსებ ივანეს-ძე ოდიშარიას** გარდაცვალებას. 4739

სახ. მუსიკალური კომედიის თეატრის კოლექტივი იუწყება ამავე თეატრის სცენის მემანქანის მიხეილ მუჯარიძის მამის **ივანე ალექსის-ძე მუჯარიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ყარალაჯში 26/I. 4743

ძმები კაპიტონ, ლავრენტი, ბაგრატ და ივანე სარალიძეები ოჯახობით იუწყებიან ძვირფასი ძმის, მასწავლებელ **სიმონ ანტონის-ძე სარალიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26/I 6 ს. გუბის, 7 (ლენრაიონი). დაკრძალვა 27/I 4½ ს. კუკიის სასაფლაოზე. 4753

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩ № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული № 1420